# საქართველოს ქალი

645/2
2001



ნელი გაჩჭაშვილის

გრან-პრი ევროპის მსახიობ-მოდელიერთა კონკურსზე

2001
7-8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომერშია:



3

ქმრის შინ მოსვლას შიშით ველოდები

**აგრესია**

4

ზურაბ ანჯაფარიძესთან გატარებული რამდენიმე წლისთვის ამ ქვეყნად მოსვლა ღირდა.

**სიყვარულის აპოლოგია.**





თქვენზე ალალია კარგი ქართული ვესტერნი.

**გუჯა ბურდული**

10

ქართველი შატილოვები.

**ღვაწლი**



16



6

თამარ ბართაია ყოველ საღამოს შემოდის ჩვენს ოჯახებში

*და სხვა საინტერესო მასალები*


ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალგაზეთების გამომცემლობა „შპს სამშობლო"

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების შპს „გამომცემლობა სამშობლო" მ. კოსტავას ქ. 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali„
Georgian Woman a Magazine fom Woman

# ხატი მკურნალი

## ლოცვა ხატის წინ დიალოგია



ლოცვა ხატის წინ მონოლოგი როდია. იგი დიალოგია: ხატიდან ხომ ჩვენ პასუხს ველით და ვიღებთ კიდეც: თხოვნა ხშირად გვისრულდება და შეიძლება მთელი ჩვენი ცხოვრებაც კი შეიცვალოს. ასეთი მაგალითები უხვადაა არა მარტო წმინდანთა ცხოვრების აღწერილობებსა და საეკლესიო გადმოცემებში, ჩვენს ცხოვრებაშიც.

გავიხსენოთ, ეკლესიაში ან სახლში ლოცვისა და ხატების წინ სანთლის დანთების შემდეგ რამდენჯერ გვიგრძვნია შვება; რა უეცრად დაუხევია უკან გაჭირვებასა და მწუხარებას, როცა გვეგონა, თითქოს საშველი არსაიდან იყო; როგორ ყველასათვის მოულოდნელად გამოჯანმრთელებულან ჩვენი უსაყვარლესი ადამიანები. მიგვიღია მოულოდნელი სიხარული; დაბადებულა დიდი ხნის ნანატრი ახალი სიცოცხლე – ჩვენი შვილები. ხიფათს სასწაულებრივად გადარჩენილან მოგზაურობაში მყოფი ახლობლები; მიგვიღწევია ამა თუ იმ წარმატებისათვის ჩვენს საქმიანობაში, ან უბრალოდ, სამუდამოდ აღბეჭდილა ჩვენს გულში ის საოცარი განცდა, ხატის წინ ლოცვისას რომ დაგვეუფლა მაშინ.

ისიც გავიხსენოთ, რას შევთხოვთ ხოლმე უფალს ყველაზე ხშირად ჩვენი ახლობლებისათვის?! რა თქმა უნდა, ჯანმრთელობას, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობა ხომ დიდი ღვთიური ჯილდოა, რომელსაც გაფრთხილება უნდა. იგი მოიცავს როგორც სხეულის, ისე სულის სიმრთელეს, რადგან ადამიანი ორბუნებოვანი ქმნილებაა ღვთისა და სწორედ ამით – თავისი ორი ბუნებითაა იგი მშვენიერი: მას სხეულიცა და სულიც უფლისაგან აქვს ნაბოძები და ამიტომ ორივეს უნდა გაუფრთხილდეს; დასნეულებული ღმერთს უნდა შეევედროს, რომ განკურნოს და მიმართოს მკურნალს, რადგან ისიც უფალმა შექმნა.

ავადმყოფობა ყოველ ადამიანს ღვთისაგან ეძლევა, მაგრამ ყოველი ჩვენთაგანი სხვადასხვაგვარად აღიქვამს მას. თუმცა ყველა შემთხვევაში როგორც მიზეზი, ისე მიზანი სრულიად განსხვავებულია. ასე მაგალითად, თუ ავადმყოფობას ჩვენ სიხარულით ვიტანთ, შესაძლოა ღვთისაგან ჯილდოს მისაღებად ვავადმყოფობთ; თუ ვწუხვართ და გვიჭირს – ალბათ სასჯელად მოგვეცა, ხოლო თუ ჩაგვაფიქრებს, მაშინ უფალს ჩვენს გამოსაფხიზლებლად და გონზე მოსაყვანად გამოუგზავნია იგი.

და ყველა შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასნეულებულნი ღმერთს შევევედროთ, ვილოცოთ წმინდა ხატების წინაშე.

როგორც უკვე ვთქვით, ლოცვა ხატის წინ დიალოგია. ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვისთან საუბრობს მლოცველი? რაღა თქმა უნდა, იმ პირველსახესთან, რომელიც ხატზეა გამოსახული. ამ მიზნით იქმნებოდა იმთავითვე ხატები, რათა მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმინდანების გამოსახულებათა თაყვანისცემით სწორედ მათთვის – პირველსახესათვის, თვით მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, მთავარანგელოზების, წმიდა გიორგის, იოანე ნათლისმცემლის, წმიდათა მოციქულთა, ილია წინასწარმეტყველის, ქეთევან წამებულის, მოციქულთასწორის წმიდა ნინოსა და ყველა წმინდანისათვის ეცათ თაყვანი, მათთვის გაეზიარებინათ თავიანთი მწუხარება და სიხარული, მათ შევედრებოდნენ და გამოეთხოვათ შეოხება და შემწეობა, ხშირად – სნეულებაში და მიეღოთ კიდეც განკურნება. ასეთი სასოებით მიმართავდა მორწმუნე კაცი ყოველთვის დედა-ღვთისმშობლის ხატებს.

ახლა ერთი ამბავი გვსურს გიამბოთ. ამბავი შორიახლო წარსულიდან ქალზე, რომელიც სასწაულებრივ განკურნა ივერიის ღვთისმშობლის ხატმა.

იგი ბავშვობიდან ყოფილა ავად. გათხოვების შემდეგ კი მისი ჯანმრთელობა ისე გაუარესებულა, რომ ფილტვებიდან სისხლის დენაც დაწყებია და ლოგინად ჩავარდნილა. ექიმებმა ყირიმში წასვლა და იქ მკურნალობა ურჩიეს, მაგრამ ყირიმში ჩასული ისე უიმედოდ მიუჩნევიათ სპეციალისტებს გასინჯვის შემდეგ, რომ უთქვამთ, ერთი კვირის სიცოცხლეღა თუ დარჩაო.

იმავე ღამეს ავადმყოფმა სიზმარი ნახა: აღუწერელი ნათელით გაბრწყინებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ უამრავი მლოცველი დაჩოქილი ევედრებოდა დედა ღვთისმშობელს. თავადაც გაბედა მიახლოება და აი, ზეციურმა დედოფალმა მას მიმართა: „რა გაწუხებს, რას ითხოვო". „დედაო ღვთისავ, გევედრები, არ მომაკლო შენი შეოხება: შეგთხოვ ჩემს ჯანმრთელობას და ჩემი შვილების დალოცვასო". რაზეც პასუხად გაუგონია: „გეყავნ შენ რწმენისაებრ შენისა"...

მეორე დილით საექიმო შემოვლაზე პროფესორმა გულდასმით გასინჯა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ავადმყოფობის ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოაჩინა, ისღა უთხრა პაციენტს, სრულიად ჯანმრთელი ხარ და შეგიძლიათ თქვენს ოჯახს დაუბრუნდეთო...

ასეთია ერთი იმ საოცარ ამბავთაგანი, რომელთა მსგავსი უფრო ადრეც მრავალგზის მომხდარა და, რაღა თქმა უნდა, ახლაც ხდება, რამეთუ დედა ღვთისა არასოდეს აკლებს კაცობრიობას თავის შეოხებას და მრავალ სასწაულს აღასრულებს მისი ხატების წინაშე მლოცველთათვის... ყოვლადწმინდა ქალწულის მრავალი ხატის წარმოშობა ხომ სწორედ სასწაულებრივ განკურნებათა შემთხვევებთანაა დაკავშირებული. ასეთია „სამხელიანად" წოდებული ხატი ღვთისმშობლისა, „მკურნალი" და მრავალი სხვა.

ახლა კი გვსურს მოგითხროთ, თუ ღვთისმშობლის რომელ ხატს უნდა შეევედროთ ამა თუ იმ სულიერ და ხორციელ სნეულებათა, სხვადასხვა მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს:

„ღვთისმშობლის ხატი" დაღუპულთა მისაგებელი" შემწეა თავის და კბილის ტკივილისას, ციებ-ცხელებისას. მას ევედრებიან შვილების გადარჩენისა და მადლმოსილი ქორწინებისათვის.

სიბრმავისას – ყაზანის, იერუსალიმის, ქართულ, პოჩაევის, ტიხვინის, მსწრაფლშემსმენ ღვთისმშობლის ხატებს ევედრებიან.

თვალების დაავადებისას – გეთსიმანიის ხატსა და „დაღუპულთა მისაგებელს".

სიყრუისა და ყურის დაავადებებისას – „მოულოდნელ სიხარულად" წოდებულ, აგრეთვე ქართულ და კალუგის ღვთისმშობლის ხატებს, ხოლო სიმსივნურ დაავადებათაგან განსაკურნებლად – „პანტანასას", ანუ „ყოველთა დედუფალს".

ყელის ტკივილისას, ასევე ტუბერკულოზით ავადმყოფებმა „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის" წინ უნდა ილოცონ.

ხელების განმკურნებელია „სამხელიანი" ხატი; იმავე ხატს ევედრებიან ფეხების ტკივილისას, კოჭლობისას, ან ტრავმისას; ამავე შემთხვევებში, „შვიდისრიანად" წოდებულ და კოზელსკის ხატებსაც მიმართავენ.

სიმთვრალისა და ლოთობისაგან მხსნელია ხატები „დაღუპულთა მისაგებელი" და „ბარძიმი დაულევნელი".

სასოწარკვეთილების, სულიერი მწუხარებისა და განსაცდელისაგან კი – ხატები „ცოდვილთა თავმდები" და „წყარო ცხოვრებისა".

ეპილეფსიით ავადმყოფობისას ევედრებიან ტიხვინის დედა-ღვთისმშობლის ხატს; იგი განკურნავს დამბლის, სახსრებისა და სულიერი დაავადებებისაგანაც.

მშობიარეთა შემწეა ღვთისმშობლის ხატი „მეძუძური" და თეოდორესეული.

ძუძუთი ჩვილის კვების სიძნელეებისას ასევე უნდა ილოცოთ „მეძუძურად" და „მკურნალად" წოდებული ხატების წინაშე.

ბავშვების ავადმყოფობისას სწრაფად ისმენს დედების ლოცვას ცაგერის და ტიხვინის ღვთისმშობლის ხატები.

ვახტანგ ახალაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვებს სკოლაში წასვლა უხარიათ, ყველგან ასე როდია

*„ქვეყანაზე თავისუფალ ადამიანად მოხვედი. უფლება გაქვს საკუთარი არჩევანი გააკეთო, აზრი გამოთქვა, სხვაც გააკრიტიკო, ვერავინ შეგზღუდავს"... სანამ ანბანს ისწავლიან, ასე განუმარტავენ თავიანთ უფლებებს საერო, კერძო სკოლა „ნაკადულში".*

დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ხელისუფლების ნებართვით ქვეყანაში კერძო სასწავლებლები გაიხსნა. კერძო სკოლაში ბავშვი პირველ დღიდანვე გრძნობს პედაგოგის მეგობრულ დამოკიდებულებას, რასაც ურთიერთპატივისცემა განამტკიცებს. ბავშვებს მოსწონთ საგნის მცოდნე მასწავლებლები, გაკვეთილები რომ მთავრდება, ისვენებენ და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში გაკვეთილებს მათი დახმარებით ამზადებენ.

მართალია, კერძო სკოლაში საკმაო გადასახადია, მაგრამ სწავლისა და აღზრდის საუკეთესო პირობებიცაა. აქვთ მუდმივი დენი, საკუთარი გათბობა, საგნის შესასწავლად კლასებში ყველანაირი თვალსაჩინოებაა – ტელევიზორი, კომპიუტერი, ვიდეო და აუდიო აპარატურით. სკოლა ინტერნეტში უფასოდაა ჩართული. მდიდარი სასწავლო ბაზა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები სასწავლებლის მაღალ ხარისხს განაპირობებს. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მხატვრულ აღზრდას სიმღერის, ცეკვის და დრამატულ წრეებში.



სკოლა „ნაკადულის" მასწავლებლები

ასეთ სასწავლებელს მომავლის სკოლა შეიძლება ეწოდოს. იგი ვაკეში, ფალიაშვილის 57-ში მდებარეობს. დირექტორი, ქალბატონი ლეილა კალანდია ვაკის რ-ნის განათლების განყოფილების მეთოდისტად მუშაობდა და, როცა საშუალება მიეცა, ახალი ტიპის თავისუფალი სკოლა გახსნა. სკოლის შენობაში პირველი სართული იჯარით აიღო და მისი რეკონსტრუქცია წამოიწყო. გვერდში მოადგილე, ქ-ნი გულნარა ლაშხია ამოუდგა. გაფართოვდნენ. საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტდარბაზი გაარემონტეს, ლამაზი ფარდებითა და ცოცხალი ყვავილებით დაამშვენეს: სკოლაში მუშაობს სხვადასხვა საგნის ხუთი მეთოდისტი და ალტერნატიული სახელმძღვანელოების შერჩევა მათი დაკვირვებით ხდება. დღის მეორე ნახევარში მოსწავლეებს ასადილებენ.

დირექტორი არაკვალიფიციურ, საქმისადმი გულგრილად განწყობილ პედაგოგს სკოლაში არ გააჭაჭანებს. მათემატიკას ცნობილი მათემატიკოსის თენგიზ მეუნარგიას შვილი – თამარი ასწავლის. მისი მოსწავლეები საქალაქო კონკურსებში სისტემატურად იმარჯვებენ. ისტორიის მასწავლებელი გურამ ვარდუაშვილი საქართველოს ისტორიის ღრმად შესასწავლად ქალაქში და მის გარეთ ექსკურსიებს აწყობს. გეოგრაფიის მასწავლებელი გია ჭანტურია სახელმძღვანელოების ავტორიცაა, მის გაკვეთილზე მოსწავლეები ინგლისურად ყვებიან საქართველოს ფაუნისა და ფლორის შესახებ. წარჩინებული მოსწავლეები სტიპენდიას იღებენ (25 ლარის ოდენობით). ენების გაძლიერებულ სწავლებას დღეში ორორი საათი ეთმობა. ინგლისური ენის კარგი სპეციალისტები არიან მერი ქავთარაძე, მანანა გერსამია, ია ლუკავა; გერმანულ ენას მე-6 კლასიდან ეუფლებიან.

დაუსრულებლად შეიძლება ისმინო, როგორ შეაყვარა ბავშვებს პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი თუ ესენინი პედაგოგმა ჟანა ჭინჭარაულმა. ამისათვის თვალსაჩინოებას იყენებს – მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით ილუსტრაციებს თავად ქმნის.

......„ნაკადულში" სწავლების მეექვსე წელი მიიწურა. გოგონებმა თავიანთი ნაქსოვი გობელენები გამოფინეს. მათი დამზადება აკადემიის კურსდამთავრებულმა იზა მღებრიშვილმა შეასწავლა.

ჭრა-კერვის და ქარგვის გაკვეთილებს ლია გოგინავა ატარებს. მან ბავშვები საკუთარი ნაქარგებითაც მოხიბლა. ქალის ხელსაქმე ოდითგანვე ცნობილი იყო საქართველოში. გოგონები ამ ტრადიციას აგრძელებენ.

ნაკადულელებს პატარა სიხარული ყოველთვის აქვთ. უხარიათ, როცა ახალ პიესას ეცნობიან და როლს ირჩევენ. გოგა გეგელიას რეჟისორობით სპექტაკლს ფართო მაყურებელს წარუდგენენ.

დღესასწაულია ის ყოველი დღეც, როცა სკოლის ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი თამთა ყიფიანი პედაგოგ უჩა პატარიძესთან ერთად ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და გუნდის წევრებს საესტრადო თუ ხალხურ სიმღერებს ასწავლის. ეს დღესასწაული იმ კონცერტზეც გაგრძელდა, სადაც თამთამ და უჩამ თავიანთი შრომის შედეგი წარმოაჩინეს. ბევრი მათგანი ალბათ ამ სკოლიდან ხელოვნების გზას გაუყვება, რაც თამთა ყიფიანის დამსახურება იქნება.

მაგრამ სულ სხვაა ქართულის გაკვეთილი. პედაგოგი ხათუნა ხანთაძე ბავშვებს იმ საგანს ასწავლის, ადამიანის სულს რომ აყალიბებს; მეექვსეკლასელების დამრიგებელი თავად პოეტური ბუნებისაა. განსაკუთრებულ ყურადღებას თავისუფალი თემების წერას უთმობს, რადგან ამ დროს მოსწავლის აზროვნების, ცოდნის ანალიტიკური შეფასების დონე მჟღავნდება.

„რას შევთხოვდი უფალს? ჩემთვის ყველაზე დიდი სათხოვარი ადამიანთა შორის სიყვარულია", – წერს მეექვსეკლასელი თამარ ტალახაძე. „ჩინგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო", – ეს თემა კი თითქმის ყველამ ერთნაირად გაიაზრა: საქართველოს შვილებმა მისადმი სიყვარული, ერთგულება და თავდადება გამჟღავნეს.

... ჯერ კი ღვთის სიყვარულით იზრდებიან. დილა-საღამოს ლოცვებს აღავლენენ, „ბიბლია" სამაგიდო წიგნად გაუხდიათ და ღმერთის უახლოვდებიან.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქმრის შინ მოსვლას შიშით ველოდები



ოჯახი ქვეყნის სარკეა. მასში აირეკლება ყველა ის კარგი თუ ცუდი, რაც ოჯახის გარეთ ხდება. ქვეყანა ბობოქრობს, ღელავს. ვნებათაღელვაა ოჯახშიც და მიუხედავად სიყვარულისა, გაუგებრობა, უხეშობა ბატონობს, რაც ხშირად სიძულვილისა და ათასგვარი ბოროტების სათავედ იქცევა.

ჰკითხეთ ქმარს, რომელმაც ცოლი მოკლა, შვილს, რომელმაც დედ-მამა დახოცა, დედას, რომელმაც შვილები მიაგდო, მამას, რომელმაც შვილი გააუპატიურა, რატომ ჩაიდინეს ეს და შეძრწუნდებით, რადგან დღესაც ვერ იჯერებენ იმას, რაც გააკეთეს, მიზეზის თქმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საშიშროება და ბოროტება ბრმაა და არავინ იცის, ამჯერად ვის ჩამოეკიდება კისერზე.

ფსიქოლოგების აზრით, კონფლიქტების საფუძველი მხოლოდ მატერიალური სიდუხჭირე არ გახლავთ. ბუნებრივია, ეკონომიკურ „საფანელს" დიდი როლი მიუძღვის მოსიყვარულე ადამიანების მტრად გადაკიდებაში, მაგრამ, თურმე, კონფლიქტების თავი და თავი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანების უმრავლესობას არ ძალუძს პატივი სცეს მეორე ადამიანის პირად ცხოვრებას, უფლებებს, შეხედულებებს. ბევრ ჩვენგანს უბრალოდ არ შეუძლია დაიცვას გარკვეული დისტანცია ურთიერთობისას. ერთი სიტყვით, ხშირად შეგნებულად თუ სრულიად შეუგნებლად (პრინციპში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს), უბოდიშოდ შეიჭრებიან სხვათა „ტერიტორიაზე" და უბოდიშოდ თელავენ, გზად რაც კი შეხვდებათ...

ნათქვამი თითიდან გამოწოვილი რომ არ გეგონოთ, ანონიმურ რესპოდენტსაც მოვუსმინოთ: „ისე გავიზარდე, რომ გაჭირვება და დარდი რა იყო, არ ვიცოდი. ცხრამეტი წლისა სიყვარულით გავთხოვდი, ქმარიც შეძლებული ოჯახიდან იყო, ასე რომ, ოჯახური ცხოვრება უპრობლემოდ დავიწყეთ. ისეთი ბედნიერი ვიყავი, თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ ჯადოსნური სიზმარი თანდათან კოშმარში გადაიზარდა. ყურადღებიანი, ხალისიანი, ყურებამდე შეყვარებული მიჯნურის ნაცვლად, ჭირვეული, მუდამ უკმაყოფილო, უხეში ქმარი შემრჩა ხელში.

ჩემი აზრი არასოდეს აინტერესებდა, მისთვის სულ ერთი იყო რას ვფიქრობდი, რას განვიცდიდი, რა მწყინდა, რა მახარებდა, ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც მას სურდა. ჩემი დედამთილიც შვილს უჭერდა მხარს, თუმცა ხედავდა, რომ ყოველი კონფლიქტი მისი შვილის ბრალი იყო. მე კი მეუბნებოდა, თუ გინდა ქმარი შეინარჩუნო, ყველაფერი უნდა მოითმინოო. მეც ვითმენდი. მდიდრულად მოწყობილ სახლში ერთ-ერთ ნივთად ვგრძნობდი თავს, სადაც უნდათ, იქ რომ გადადგამენ.

ყველაზე ეჭვიანობდა. ერთხელ ისეთი სცენა მომიწყო, რომ უმისოდ მეგობრებთანაც ვერიდებოდი წასვლას. როცა მშობლებთანაც ამიკრძალა ხშირად სიარული, ესეც რომ დამეთმო, საკუთარი თავი შემზიზღდებოდა. ნაცნობ-მეგობრებს გიჟი ვგონივარ, უკვირთ, როგორ შეიძლება ასეთი კარგი ოჯახიდან და კარგი ქმრისაგან ნორმალური ქალი გამოიქცეს. კიდევ კარგი, მშობლებმა გამიგეს.

ახლა ვხვდები, რომ ბედნიერება, გულისხმიერება, ურთიერთგაგება და თანაგრძნობა ყოფილა!"

ქვეყანა კი მაინც მშვენიერია, ყოველ შემთხვევაში, ასეთად შექმნა იგი ღმერთმა...

სადაც სიყვარულია, იქ გონება გამორთულიაო, უთქვამთ, მაგრამ ალბათ ჭეშმარიტი სიყვარული იბადება იქ, სადაც გრძნობაც აქტიურად არის ჩართული, თუმცა რამდენი ადამიანიც არის, იმდენი განსხვავებული აზრია...

და მაინც რა სჯობს: გიყვარდეს თუ გიყვარდე, პატივს სცემდე თუ პატივს გცემდნენ. ალბათ ერთიც და მეორეც, თუმცა, როცა პატივს არ სცემ, შეუძლებელია გიყვარდეს და შეიძლება პატივს სცემდე, მაგრამ არ გიყვარდეს.

სიყვარულის უპირველესი დანიშნულება ალბათ ის არის, რომ ადამიანში ადამიანობის [illegible]

დაზღვეული არ ვართ შეცდომებისაგან, მაგრამ ეს პასუხისმგებლობისაგან არ გვათავისუფლებს, რადგან არის შეცდომები, რომელთა გამოსწორებაც არ შეიძლება და რომელიც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის.

ადამიანი სიყვარულისთვის, სიკეთისთვის შექმნა ღმერთმა, სიყვარულს კი სასწაულების მოხდენა შეუძლია, უნდა გჯეროდეს სასწაულების...

ნიჭი მრავალგვარი არსებობს, მაგრამ ყველაზე დიდი ნიჭი სიყვარულია და ალბათ, რა საბრალონი არიან ისინი, ვისაც სულ სხვა – მოყვასის დაკარგვის ნიჭი აქვთ მომადლებული.

გიყვარდეს მოყვასი შენი არ ნიშნავს, ჩაერიო მის ყოველდღიურობაში, აკონტროლო მისი ყველა ნაბიჯი თუ სიტყვა. სიყვარულსა და ეგოიზმს შორის ხომ ერთი ნაბიჯია და ეს დაუფიქრებელი ნაბიჯი თუ გადაიდგა, შეიძლება ერთი ადამიანის სიყვარული მეორისათვის სატანჯველად იქცეს.

სიყვარული ცოცხალი ორგანიზმივითაა, დაიბადება, იზრდება და კვდება... სიკვდილის მიზეზი მრავალგვარია – შიში, აგრესია, უყურადღებობა, უხეშობა...

ბოლო დროს ალაპარაკდნენ აგრესიაზე ოჯახში. როგორც გამოირკვა და როგორც მოსალოდნელი იყო, აგრესიის ძირითადი მსხვერპლნი ქალები არიან.

– – –

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ჩემი ქმრის ფირმა დაიხურა. დავრჩით ბედის ანაბარა. პირველ ხანებში ზურა მამშვიდებდა, ახალ სამსახურს დავიწყებ და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მალე ჩვენი დანაზოგი ამოიწურა, რაც გაიყიდებოდა, ყველაფერი გავყიდეთ. ზურამ სმა დაიწყო, თითქმის ყოველდღე მთვრალი მოდიოდა, ყოველ წვრილმანზე ვჩხუბობდით. პირველად რომ დამარტყა, ასე მეგონა, ცა ჩამოინგრაო. შემდეგ ჩხუბი, გინება და ჩემი ცემა ჩვევად გადაექცა. ტირილში ვათენებდი და ვაღამებდი. ჩემს უბედურებას ვერავის ვუმხელდი, დალურჯებულ და შეშუპებულ სახეს მაკიაჟით ვიფარავდი, თითქმის ლანდად ვიქეცი. ცხოვრებამ ხერხემალში გადამტეხა. როცა თავს ზევით ძალა არ არის, ადამიანი ყველაფერს ეგუება თურმე. ერთი წლის შემდეგ ზურამ სამსახური დაიწყო, აღარ გვშია და აღარ გვწყურია, მაგრამ ქმრის [illegible] დღესაც შიშით ველოდები – ვაითუ მთვრალი მოვიდეს!"

ძალადობა საბოლოოდ ან კლავს, ან [illegible] ცვეთს სათუთ გრძნობას.

ფსიქოლოგები სულიერი სიმტკიცისა[illegible] მოუწოდებენ მანდილოსნებს, რადგან სუსტი ადამიანის შეშინებაა ადვი[illegible]. საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანს აგრესორი ბევრს ვერაფერ[illegible] დააკლებს.

და კიდევ ერთი რჩევა ქალებს: რაც [illegible] რო მომთმენია ქალი და რაც უფრო ცდილობს, ყველა სურვილი შეუს[illegible] მამაკაცს, მით უფრო უარესი მისთვის, რადგან თურმე ქალი თავის [illegible] კარგავს მამაკაცის მომზიდველობას, მოუწყვეტლობას და [illegible] თვალში.

ერთი სიტყვით, რაც [illegible] უფრო დაბალი ყოფილა მისი ფასი!..

ასე რომ, ძვირფასო მანდილოსნებო, [illegible] თავს პატივისცემა და აწყვეტეთ. შემდეგ [illegible] იქნებს [illegible] მამაკაცები!

მარინე ნაკაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ანჯაფარიძესთან გატარებული რამდენიმე



ასე სწამს სახელგანთქმული მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ქვრივს მარინა მაჭავარიანს და თუ მის ნაღველნარევი სიხარულით გაშუქებულ თვალებს შეხედავთ, როცა იგი ქმარზე ჰყვება და თუ მომღერლის ცნობის ბედნიერებაც გქონდა, ეჭვი არ შეგეპარება ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

მათი სიყვარულის ამბავი ზღაპრივით დაიწყო და თითქმის ცნობილი „კონკიას" სიუჟეტივით განვითარდა. მართალია, აქ არ ყოფილა ავი დედინაცვალი, მაგრამ ფეხიდან წამძვრალი ფეხსაცმელი, პატარა ფერია და უფლისწული კი იყვნენ. იყო მუსიკა, საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანები და ცელქი ამურები დარბაზის ჭერში. და სიყვარულის დღესასწაულიც შედგა.

თუმცა სჯობს, თვითონ მარინას მოვუსმინოთ.

სამი საღამოს განმავლობაში, ლიკანის მწვანე სიმყუდროვეში, ვისმენდი მშვენიერი ქალის მიერ მოყოლილ სიყვარულის ჯადოსნურ ამბავს, სიყვარულისა, რომელიც სიკვდილზე ძლიერი აღმოჩნდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფილმის სცენარს ვკითხულობდი და ამ ფილმის მთავარი პერსონაჟი წინ მეჯდა, ისეთივე ისეთი, 25 წლის წინ რომ ვიცნობდი. შავი მბრწყინავი თვალებით, შუბლზე ჩამოშლილი მოკლე „ჩოლკით", თხელი პატარა ცხვირით – ოდრი ჰეპბერნს რომ ჰგავდა.

მაშ ასე, მარინა მაჭავარიანის მიერ თავისი და ზურაბ ანჯაფარიძის სიყვარულზე მოთხრობილი ამბიდან რამდენიმე ეპიზოდი შევარჩიეთ, თუმცა მასზე მოზრდილი წიგნიც შეიძლება დაიწეროს.

***

– თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა დედამ კონსერვატორიაში წამიყვანა მაყვალა ქასრაშვილისა და ლელი ჯაფარიძის გამოსაშვებ საღამო-კონცერტზე. იმ საღამოს პირველად მეცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და მთელი საღამო დაძაბული ვიყავი – ფეხი არ გადამიბრუნდეს-მეთქი.

ანტრაქტის დროს კიბის მოაჯირთან მდგომს, ცალი ფეხსაცმელი წამძვრა და ქვემოთ ჩავარდა. წარმოიდგინეთ 15 წლის ქალიშვილისთვის რა სამინელება მოხდა. ვდგავარ ყაყაჩოსავით აწითლებული, დაბნეული, მგონია ქვეყანა თავზე ჩამომექცა, აღარ ვიცი, რა ვქნა და ვხედავ: კიბეებზე ამოდის ულამაზესი ახალგაზრდა კაცი, ხელში ჩემი ფეხსაცმელი უჭირავს და ღიმილით ამბობს: ვისაც ამ ფეხსაცმელს ჩავაცმევ, ჩემი ცოლი გახდება. გვერდით ირაკლი შუშანია მოჰყვება, ჩემი კარის მეზობელი, შემამჩნიეს და ჩემსკენ წამოვიდნენ.

– უჰ, ეს სულ ბავშვი არ ყოფილა! – თითქოს დანანებით თქვა ამ უფლისწულივით ლამაზმა კაცმა. – ა, ბიძიკო, ჩაიცვი ეს შენი ფეხსაცმელი.

ირაკლიმ ჩემი თავი წარუდგინა, თან დასძინა: ჩემი კარის მეზობელი და ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვიაო.

მეორე დღეს ზურაბი შუშანიასთან მოვიდა სტუმრად. მამაჩემმა ღვინო ჩაუტანა მეზობლებს. ცოტათი რომ შექეიფიანდნენ, ზურაბს უთხოვია: გამატანეთ მარინა ცოლადო.

– ჯერ პატარაა, თითქმის ბავშვია, არ გამოგადგება. – მოკრძალებული უარი უკადრებია მამაჩემს. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

მესიზმრებოდა ხოლმე: გაჩირაღდნებულ დარბაზში ჟღერს მუსიკა, ჩემთან მოდის უფლისწული, მაცმევს ფეხსაცმელს და ცოლად მიყვავარ.

დრო გადიოდა, უფლისწული არ მოდიოდა, მე ვიზრდებოდი... მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ კვლავ შევხვდი ჩემს უფლისწულს გვიან. თუმცა იქნებ არც იყო გვიან და ცის კარაბადინში ასე ეწერა, რომ ზუსტად ამ დროს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ზურაბი ცოლს დიდი ხნის გაცილებული იყო, დიდ თეატრში მჩქეფარე მოღვაწეობა უკან ჰქონდა მოტოვებული და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად მუშაობდა. მეც ჩემი გოგონასათვის საახალწლო-საკარნავალო კოსტიუმის სათხოვნელად ოპერის დირექტორთან მიმიყვანა, სხვათაშორის, იმავე ირაკლი შუშანიამ.

შევაღე თუ არა კარი, ზურიკომ მისალმების მაგიერ ღიმილით მკითხა:

– აა, შენი ფეხით მოხვედი?

– სად? – დავიბენი მე.

– სადაც უნდა მოსულიყავი, ჩემთან.

თითქოსდა ჩვენი ნაცნობობა და მეგობრობა ამ თოთხმეტი წლის მანძილზე წუთითაც არ შეწყვეტილიყო. წარმოიდგინეთ, რომ მეც იგივე გრძნობა დამეუფლა. კოსტიუმი, ცხადია, შემარჩიეს და რამდენიმე დღეში ზურიკომ ტელეფონით ხმით დამირეკა: თქვენ კოსტიუმი გაქვთ გატაცებული და თუ დღესვე არ დააბრუნებთ, უსიამოვნება შეგხვდებათო. დაუყოვნებლივ წავედი. ზურიკომ ხელში გამომაცალა და მითხრა: – ცოლად უნდა გამომყვე, ეს გადაწყვეტილია. შენ გგონია არ მახსოვდი? მოსკოვში დიდ თეატრში „ყვავის ქალის" წარმოდგენაზე დავინახე, როგორც კი ხომ ერთი



ზურაბ ანჯაფარიძე, მარინა მაჭავარიანი და პატარა ზურაბი

დავამთავრე, კამერდინერი გამოგიგზავნე, მაგრამ შენს კვალს ველარ მივაკვლიეო.

მოკლედ, იმავე 1980 წლის 12 აპრილს დავქორწინდით.

საერთოდ 12 აპრილი ზურიკოსთვის საკრალური რიცხვი იყო. ძველით 12 აპრილს დაიბადა, 12 აპრილს ვიქორწინეთ, 12 აპრილს დაიბადა პატარა ზურიკო – ჩვენი ვაჟიშვილი, და ბოლოს, 12 აპრილს გარდაიცვალა.

17 წელი ვიყავით ერთად. ჩემსა და ზურიკოს ცხოვრებაში ეს იყო უბედნიერესი წლები. მარადისობის 17 გაელვება. 17 წუთივით სწრაფად გაირბინეს ამ წლებმა, მაგრამ ზურიკოსთან გატარებული ერთი წლისთვისაც ღირდა ამ ქვეყნად ჩემი მოსვლა. ის ხომ ღმერთის რჩეული იყო. სიკეთით, სიყვარულით სავსე, არაჩვეულებრივი, ღვთიური ხმის ტემბრით, რაც ჩემი ღრმა რწმენით, კოსმოსიდან იყო კოდირებული.

ზურიკო ყველას უყვარდა და იგიც სიყვარულით პასუხობდა. მტერი და მოძულე არ ჰყოლია. თავისი ესოდენ პოპულარობის მიუხედავად, მორიდებული იყო. სხვათა შეწუხება არ უყვარდა. „ვოლგის" ყიდვა უნდოდა. მაშინ ეს საქმე მინისტრის დონეზე წყდებოდა. ზურიკო არაფრით არ წავიდა სათხოვნელად. სხვათაშორის, ფულიც არ გვქონდა. მაშინ ავდექი და მე შევედი მინისტრთან: – ზურაბ ანჯაფარიძეს „ვოლგის" ყიდვა უნდა, მაგრამ ფული არა გვაქვს, განვადებით მოგვყიდეთ-მეთქი. გაგიჟდა ის კაცი. ასეთი რამ – „ვოლგა" განვადებით – ჯერ არსმენილი ამბავი იყო. წარმოიდგინეთ, გაგვყიდეს და ზურიკო თავისი ხელფასიდან ყოველთვიურად მაშო-

# წლისთვის ამ ქვეყნად მოსვლა ღირდა

ნდელ 500 მანეთს იხდიდა. თან ჩემზე ეცინებოდა: შენ ჯადოქარი ხარო, ისე კი უფლის ანგელოზს მეძახდა.

***

... 1984 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით დიდ თეატრში ტარდებოდა საქართველოს დღეები. ჩვენც გავემგზავრეთ ქართულ საოპერო დასთან ერთად. რეპეტიციაზე, ჩვეულებისამებრ მე-16 სადარბაზოდან შევედით. მე პარტერში დამსვეს, ხოლო ზურიკო სრულიად ჩაბნელებული სცენისაკენ გააცილეს. ჩვენი ყურადღება საოცარმა სიბნელემ მიიპყრო – ეს რა მოსვლიათ, როგორ ჩაბნელებულან ჩემი წასვლის შემდეგო, – იხუმრა ზურიკომ (ის უკვე თოთხმეტი წლის წამოსული იყო დიდი თეატრიდან).

ამ დროს სცენაზე, სადაც ზურიკო იდგა, პროჟექტორი მიანათეს და ნახევარი საათის განმავლობაში მთელი დასი, სცენის მუშები და ორკესტრის მსახიობები მის სახელს დამარცვლით გაიძახოდნენ პროჟექტორის ყოველ ანთება-ჩაქრობაზე, ხოლო შემდეგ კი ყოველი მათგანი იხსენებდა იმ დღეებსა და წლებს, რომლებიც ერთად ჰქონდათ გატარებული.

კონცერტის შემდეგ კულისებში მობრძანდა დიდი რუსი მომღერალი ივანე კოზლოვსკი, რომელმაც სახლში მიგვიპატიჟა. ვიმხიარულეთ, ვივახშმეთ და ბევრი იმღერეს. საღამო „თავო ჩემო"-თი დაასრულეს.

ძალიან კარგად მახსოვს ეს არაჩვეულებრივი თბილი და ამაღელვე-



ზურაბ ანჯაფარიძის ოჯახი

ბელი საღამო. კოზლოვსკიმ ზურიკოს ჰკითხა, რატომ აქამდე არ ჰქონდა ძეგლი ვანო სარაჯიშვილს, რომლისთვისაც მან ორჯერ ჩარიცხა საკმაოდ სოლიდური თანხა. ზურიკო შეწუხდა და უპასუხა, სწორედ ჩემი წამოსვლის წინ დაიწყეს ძეგლის კეთებაო. ჩამოვედით თუ არა თბილისში, ზურიკომ, რომელიც ადრეც და ამ სიტყვების შემდეგაც ბევრს ცდილობდა ვანო სარაჯიშვილისთვის ოპერის ბაღში დაედგათ ძეგლი, მხოლოდ ის მოახერხა, რომ სიღნაღში გაეხსნათ მომღერლის ძეგლი. ვასრულებთ რა ზურიკოს, და მე ვფიქრობ, რომ მთელი ქართველი ერის სურვილსაც, ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდის თაოსნობით, თბილისის მერიის ხელშეწყობით თბილისობაზე ვანო სარაჯიშვილის ძეგლი დაამშვენებს ოპერის სკვერს.

***

... ზურიკოს უამრავი მეგობარი ჰყავდა. თითქმის ყოველდღე სუფრასთან ვისხედით. მოვლილი მაქვს ძველი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესტორანი. საქართველოში ყველას სახელი ზეპირად მახსოვს – ახლით ლონისძიების შემდეგ შუაღამე უკვე კარგად გადასული იყო, როდესაც ზურიკო იტყოდა: ახლა ჩემთან წავიდეთო. თავის „მონაპოვარს" მეძახდა ხუმრობით, განთიადამდე კიდევ ამ სახელს. 15-20 წუთში ვაწყობდი სუფრას. ერთი ქმრის ხელმძღვანელობით – მაცივრის საყინულეში მომარაგებული მქონდა ბევრნაირი საჭმელი – ხინკლებით დაწყებული, ხაჭაპურით დამთავრებული და ასე სიმღერით – მე როიალთან. ზურიკო სუფრის თავში. ზურიკოს დედაც იქვე შვილის გვერდით ამაყად მჯდომი თავისი არაჩვეულებრივი ხმით ბანს გვაძლევდა. ასე შემოგვათენდებოდა ხოლმე. ზურიკოს დედამ მკაცრი ობლობაში გაზარდა. მამა ივანე – ბრწყინვალე არმიის პოლკოვნიკი და შესანიშნავი პიროვნება რეპრესიების დროს ციმბირში გადაასახლეს და იქვე გარდაიცვალა. ზურიკო სიცოცხლის ბოლომდე დედის მონდომებული შვილი იყო. მისი მხრივ დედა – ძალიან ნიჭიერი

ხელოვანი ზურიკოზე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა. გასაჭირის დროს ზურიკო დედას წუთითაც არ სტოვებდა მარტოს, ხოლო როცა თვითონ გახდა ავად, დედაზე დარდობდა: რას უნდა მოესწროს უბედური დედაჩემიო. მეც ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი ქ-ნ ალექსანდრას. ის ჩემთვის მარტო ქმრის დედა კი არა, ჩემი მეგობარი და სულიერად ახლობელი ადამიანი გახლდათ.

როცა ზურიკომ ცოლობა შემომთავაზა, ერთი თხოვნა თუ პირობა დამიყენა მხოლოდ: დედაჩემს უნდა მოეწონოო. მათ ზღურბლს რომ გადავაბიჯე, დედამთილმა გახარებულმა თქვა: ბეჩა, ეს რა ფერია შემოფრინდა ჩემს სახლშიო და გულში ჩამიხუტა. შეიძლება ამის დავიწყება?

17 წლის მანძილზე ჩვენს ოჯახში 17 ხმამაღალი სიტყვა არ თქმულა.

ვერ ვიტყვი, ვინ ვის მეტად უყვარდა.

***

ერთხელ ზურიკოს ინტერვიუში ჰკითხეს: ბოლოს და ბოლოს, თუ მიაგენით თქვენს იდეალსო.

მე კი მივაგენი, იმან თუ მომაგნოო, – ჩვეულებრივად გაიღიმა მან.

მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რითი მესიამოვნებინა. მყუდრო და ლამაზ გარემოს ვუქმნიდი. ბავშვივით ყოველ დღე წვენებს ვუწურავდი, რემონტს ვაკეთებდი, წავკისში აგარაკს ვაშენებდი, გაოცებული იყო, თვითონ ასეთი საქმეები არ ეხერხებოდა. მე კი ენერგიის ისეთ მოზღვავებას ვგრძნობდი, მაწუხებდა კიდეც. ბოლოს გამსინჯეს და მართლაც აღმოაჩნდა ისეთი ენერგია, რომელიც აუცილებლად სხვათა დასახმარებლად უნდა დამეხარჯა. ეს არ არის ექსტრასენსორიკა. უცხოეთში ჩემისთანებს მედიუმებს ეძახიან. უფრო პარაფსიქოლოგი. დავიწყე მუშაობა „ლეჩკომბინატში", ბევრი პაციენტი მყავდა, შემდეგ ისრაელის კლინიკაშიც მომიწია მუშაობამ, ვაშინგტონშიც ჩავატარე ფსიქოთერაპიული სეანსი და საპატიო დოქტორადაც ამირჩიეს. დამთავრებული მაქვს უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და პატრის ლუმუმბას სახ. უნივერსიტეტის ფაკულტეტი – რუსული ენა – უცხოელებისათვის. დოქტორანტურაში 2 წელი დავყავი. ახლაც თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ვარ, მაგრამ რაც ზურაბ ანჯაფარიძე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, მას შემდეგ ჩემი პროფესიაც, ცხოვრების აზრი და ძირითადი საქმიანობა – ზურიკო იყო, ხოლო როცა პატარა ზურიკო ანჯაფარიძე დაიბადა, ჩემი მიზანი ერთია: იგი მამამისის ღირსეულ მემკვიდრედ გაიზარდოს ცხოვრებაში და ღმერთის შეწევნით – საოპერო სცენაზეც, რადგან საბედნიეროდ, მამამისის ნიჭი დაჰყვა.

ასე რომ, ორი ზურიკო და ჩემი ქალიშვილი დეა, რომელიც უკვე სამი შვილის დედაა – აი ჩემი აწმყო, წარსული და მომავალი.

ჩემი თაოსნობით შეიქმნა ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს მისი სახელის უკვდავყოფას.

წლეულს ზურაბის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს – 12 აპრილს ოპერის თეატრის ბაღში, სადაც დაკრძალულია დიდი მაესტრო, გაიხსნა ზურაბ ანჯაფარიძის ძეგლი. ძეგლის გახსნას და ოპერის თეატრში გამართულ ხსოვნის საღამოს საქართველოს ხელოვნების მოყვარულთა და ზურაბის თაყვანისმცემელთა უამრავი რაოდენობა დაესწრო. იმ საღამოს, მე, როგორც ზურაბის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა ზ. ანჯაფარიძის სახელობის ოქროს მედალი გადავეცი მისი აწ გარდაცვლილი ორი პედაგოგის – ვალერიან ქაშაკაშვილისა და დავით ანდღულაძის ახლობლებს, აგრეთვე ნოდარ ანდღულაძეს, ოდისეი დიმიტრიადის, ელენე ობრაზცოვას, ნიკო ხატიაშვილს – ზურაბის უსაყვარლეს მეგობარსა და მასზე დაწერილი მშვენიერი წიგნის ავტორს, მოქანდაკე ოთარ ფარულავას და გურამ ქაშაკაშვილს, მედეა ამირანაშვილს, რომელიც ფონდმა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებაზე წარადგინა. გამოცხადდა, რომ ყოველ 12 აპრილს აქ, პრემია და ოქროს მედალი გადაეცემა მათ, ვინც წონადი წვლილი შეიტანა ზურაბ ანჯაფარიძის სახელის უკვდავებაში, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მომღერლის გარდაცვალების შემდეგ.

ფონდი უშვებს გაზეთ „თანადგომას", რომელსაც ჩვენი ოჯახის დიდი ქომაგი ანზორ ბაბუხადია ხელმძღვანელობს.

გამოვა კომპაქტ-დისკები, ფირმა „სანიომ" გამოსცა აუდიოკასეტები, თანხა ჩაირიცხება ფონდში, რითაც დავეხმარებით ნიჭიერ ხელმოკლე ვოკალისტებს, სტუდენტებს, იმ კონკურსში გამარჯვებულებს, რომლის ჩატარებასაც ზურაბ ანჯაფარიძის 75 წლის საიუბილეოდ ვაპირებთ.

***

... ალბათ ცოტა იქნება ვთქვა, დიდ თეატრში ზურიკო ყველას უყვარდა-თქო. იქ მას დიდი და პატარა აღმერთებდა.

საახალწლოდ დამირეკა ირინა არხიპოვამ და მე და პატარა ზურიკო მოსკოვში დაგვპატიჟა. თან დასძინა, მგზავრობის და სასტუმროს ფულს მე ვიხდიო.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორი სკამი ცალკე იდგა – ჩემთვის და ზურიკოსთვის. საღამო ირინა არხიპოვას სახელობის პრემიების გადაცემით დაიწყო. გამოაცხადეს გერმანის როლის გენიალური გახმოვანებისათვის ფილმ-ოპერა „პიკის ქალში" ოქროს მედალი და პრემია მიენიჭა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის კარუზოს – ზურაბ ანჯაფარიძეს. სცენაზე მივიწვიეს მე და პატარა ზურიკო.



აბესალომი – „აბესალომ და ეთერი“

ატყდა კივილი და სკანდირება: ზუ-რი-კო! ეს ყველაფერი ზურაბის სიმღერის ფონზე. ხალხი ცრემლს ვერ იკავებდა. სასტუმრო, სადაც ვცხოვრობდით, ფოიედან მოყოლებული ყვავილებით აგვივსეს.

მითხრეს, თუ პატარა ზურიკოს ჩვენთან ასწავლი და ჩვენთან იმღერებს, მოსკოვში ზურაბის ბინას დაგიბრუნებთო. სცენის კორიფეები მთხოვდნენ: გვითხარით, რა გავაკეთოთ თქვენთვის და ზურაბის სახელის უკვდავყოფისთვისო.

როგორღაც მოვახერხე მადლობა გადამეხადა ამ უზარმაზარი სიყვარულისა და დაფასებისათვის.

პატარა ზურიკო ექსტერის სახ. ქართულ-ფრანგულ კოლეჯში. პარალელურად მუსიკალურ ათწლედში სწავლობს, საუკეთესო ვოკალური მონაცემები აქვს. ხატავს თან სულ მამის პორტრეტს. სულ მამას რატომ ხატავ-მეთქი, – ვკითხე. რომ არ დამავიწყდესო, – მითხრა.

4 წლისამ მამამისის ყველა საოპერო პარტია იცოდა. დიდი მომღერლები მის მონაცემებს ფენომენალურად თვლიან. მაგრამ საქართველოში ხომ... პრეზიდენტის გრანტის გამანაწილებელი კომისიის ზოგმა წევრმა არ გაითვალისწინა ეს გარემოება და პატარა ზურიკო გასულ წელს გრანტის გარეშე დარჩა.



გერმანი – „პიკის ქალი“

პრეზიდენტი კი, რასაც დაგვპირდა იმ უბედურების დღეს, ყველაფერი გაგვიკეთა: საფლავი, ძეგლი, მუზეუმისთვის ბინის გამოყოფა. მადლობის მეტი რა მეთქმის.

... ზურიკოზე სათქმელს რა გამომილევს, მაგრამ რომ არ გადაგღალოთ, მხოლოდ მის ანდერძზე გეტყვით. ანდერძის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცოდი. გარდაცვალების შემდეგ კასეტებს რომ ვალაგებდი, ერთი კასეტა გადმოვარდა – „ჩემი ანდერძი მარინას“ – ეწერა მისი ხელით. ჩავრთე და მისი ცხოვრება, მისი ლამაზი სული კიდევ ერთხელ გადაიშალა ჩემს თვალწინ: „სამჯერ ვიყავი ცხოვრებაში ბედნიერი: როცა დიდ თეატრში მიმიწვიეს, როცა მარინა შევირთე და როცა ჩემი ზურიკო დაიბადა.

მართალია ჩემს ბიჭს ქონებას ვერა, მაგრამ ისეთ გვარს და სახელს ვუტოვებ, სანამ ჩემი თაობა იცოცხლებს, სიყვარული არ მოაკლდება. მე მინდოდა მენახა, როგორ იმღერებდა ჩემი ბიჭი აბესალომს, თორემ მას ისეთი დედა ჰყავს, ვიცი არაფერს დააკლებს.

მარინა, შენ მეცოდები, როგორ იცხოვრებ, ამოდენა სიყვარული რომ მოგაკლდება?“

მართლაც ძნელია უმისოდ ცხოვრება, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული ზურიკო კი არ მოკვდა, სამყაროს შეუერთდა თავისი უკვდავი სულით. თითქმის ყოველთვის ვგრძნობ მის სიახლოვეს, განსაკუთრებით, როცა რაიმე პრობლემა შემექმნება, გარდა ამისა მე მისია მაქვს – ზურიკოს აღზრდა და გზაზე დაყენება. ამიტომ ვცოცხლობ. დიდ სიხარულს მანიჭებს, ზურიკოზე რომ დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ, რომ არ ივიწყებენ, რომ ძეგლი ოპერის ბაღში დაუდგეს, რომელსაც მალე უფრო დახვეწილს იხილავენ თბილისელები.

ასე რომ ნამდვილად დირებული ჩემს ცხოვრებაში ზურიკოა.

ზურიკო – იყო.

ზურიკო – არის.

ზურიკო – იქნება.

*ესაუბრა ნარგიზა მგელაძე*



# თამარ ბართაია



**მისგან ყველა ღიმილს, იუმორს ელოდება, რადგან თავად არის ღიმილიანი და იუმორით აღსავსე. ამიტომაც ჰყავს ალბათ უამრავი მეგობარი.**

**ადამიანები არ იცვლებიან. დრო იცვლება მხოლოდ. ჩვენც ფეხდაფეხ მივდევთ ჟამთაცვლას, ვცდილობთ დავეწიოთ, გავუსწროთ მას. ნეტა სად გვეჩქარება... ყველაფერი ხომ მაინც იქ მიდის, საიდანაც არ თუ ვერ ბრუნდებიან. იქ, სადაც უამრავი ახლობელი მოთმინებით გველოდება. იქ, სადაც ღვთის წინაშე უმკაცრეს სამსჯავროზე წარვდგებით.**

**ჩვენ კი მაინც ვჩქარობთ და ამ სიჩქარეში ხან წავიფორხილებთ, ხანაც – წავიქცევით. ხელის შემშველებელი კი ცოტაა, რადგან ყველას თავის გზაზე მიეჩქარება და სხვისთვის არა სცალია. არადა, რა ძნელია მარტო წამოდგომა...**

**დიახ, ჩვენი ცხოვრების გზა ურთულესი მარათონია და „ისე უნდა იარო ამ გზაზე, რომ ერთი ღერი ბალახიც არ გადათელო!“**

**აი, ასეთი უცნაური ფიქრები მომეძალა, როცა მარჯანიშვილის თეატრში თამარ ბართაიას პიესა „შეხვედრის ადგილი“ ვნახე.**

**ეს არის დრამა ყოველგვარი კლასიკური ნორმების გარეშე, ეს არის ემოციებისგან, გრძნობებისგან თავის დაღწევა, გათავისუფლება, დრამა – აღსავსე ტკივილით, სევდით და მონატრებით.**

**ცრემლები უბრწყინავდათ მსახიობებსაც და მაყურებლებსაც. ვფიქრობ, სწორედ ეს არის დასტური იმისა, რომ ავტორმა თავისი ჩანაფიქრი ბრწყინვალედ განახორციელა.**

**– „ძილის წინ“ და „დიდების ზღაპრის“ ავტორისაგან მაყურებელი კომედიას ელოდა... საიდან და რატომ წამოვიდა ეს თემა?**

ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა არაფერი დამკლებია თითქმის, – ღიმილით ამბობს ქ-ნი თამარი. – ვამაყობ, რომ უამრავი მეგობარი მყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენივე მეგობარი მყავს „იქით“. პიესის იდეა სწორედ ერთ-ერთი მათგანის – გიორგი რევიშვილის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა. გიორგი რაინდობის ჭეშმარიტი სიმბოლო იყო, მისი სიკვდილის შემდეგ ჩემთვის ცხოვრების ერთი დიდი პერიოდი დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდი, რისი თქმაც მინდოდა, პიესის დამთავრება ძალიან გამიჭირდა, და მოხდა სასწაული, ისევ გიორგი დამეხმარა. თეატრალურ სარდაფში მისი ხსოვნის საღამო მოეწყო, მაშინ წავიკითხე ჩემთვის უცნობი გიორგის ერთ-ერთი ჩანაწერი და მივხვდი, რომ სწორედ ეს მარცვალი აკლდა ჩემს პიესას.

„მე ვერსად ვერ ვნახე მართალი კუთხე, ასეთი კუთხე არც არსებობს. დღიდან დღემდე, საფეხურიდან საფეხურამდე უნდა იყო მართალი და მაინც მტყუანი დარჩები მუდამ, იქ, სადაც ადამის ... ... დამთანურობით იღწვის, სიმართლე არ არსებობს!“

აი, ეს ფრაზა აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დამემთავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველ საღამოს შემოდის ჩვენს ოჯახებში

ეს არის პიესა მონატრებაზე. ყველაფერს შეიძლება ეშველოს, მაგრამ მონატრების გრძნობას, რომელიც დღითიდღე მძაფრდება და ძლიერდება, არაფერი ეშველება.

სამწუხაროდ, ვერ ვცხოვრობ ეკლესიურად, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი ჩემი შრომით გამოვხატავ. მჭიდრო ურთიერთობა მაქვს საპატრიარქოსთან. ბევრი ფილმი მაქვს გაკეთებული როგორც სცენარისტს და როგორც რეჟისორსაც.

სპექტაკლის მოსაწვევები საპატრიარქოში რომ მივიტანე, გადმომცეს უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის სიგელი. ამაზე წმინდა და უდიდესი ჯილდო ცხოვრებაში არ მიმიღია. ეს ერთგვარ კურთხევად მივიჩნიე. როცა ჩავფიქრდები, რა ტრადიციების თეატრში დაიდგა ჩემი პიესა, ცოტა არ იყოს გადამეტებულად მიმაჩნია ჩემი მხრიდან ასეთი გამბედაობა.

პიესა რეალურ პიროვნებებს მივუძღვენი, რომლებიც დღეს აღარ არიან ამ ქვეყნად.

**– და მაინც, ეს არ იყო თქვენი პირველი ნაბიჯი თეატრში...**

– დიახ, თეატრით დიდი ხნის წინათ მოვიწამლე. თანაც უცებ აღმოვჩნდი ზღაპრულ დღესასწაულში. სარეჟისოროზე ვაბარებდი და ქულა დამაკლდა. ბ-ნმა მიშა თუმანიშვილმა თავისი ასისტენტობა შემომთავაზა. ეს იყო კინომსახიობთა თეატრის აღზევების პერიოდი. ყველა სპექტაკლში მქონდა პატარა როლი. სამი წელი დაბადების დღეზეც კი არ წავსულვარ, მთლიანად თეატრის ცხოვრებით ვცხოვრობდი. სამი წელი ბ-ნი მიშას გვერდით ვიჯექი. მეჩურჩულებოდა რაღაცეებს და მეც გამალებით ვიწერდი. მაშინ ვისწავლე სიბნელეში წერა.

„დონ ჟუანში“ ბ-ნმა მიშამ სუფლიორის როლი დაამატა და მკითხა, ტექსტს შენ ხომ არ დაწერო. დღემდე ვამაყობ, რომ ის ტექსტები მე მეკუთვნის. სწორედ ეს არის ჩემი პირველი სიხარული თეატრთან დაკავშირებული.

**– და ამან განაპირობა თქვენი მომავალი პროფესიის არჩევა?**

– იმ პერიოდში გავიცანი ბ-ნი ერლომ ახვლედიანი. კინოსცენარისტების ჯგუფი ჰყავდა თეატრალურ ინსტიტუტში და შემომთავაზა მასთან ჩამებარებინა. რჩევა ბ-ნ მიშას ვკითხე. ძალიან მინდოდა უარი ეთქვა. მაგრამ ასე მიპასუხა: არ ვიცი, როგორი რეჟისორი გამოხვალ. მაგრამ დარწმუნებული ვარ. რომ კარგად დაწერო.

ერთხელ თუ მოიწამლე თეატრით. შემდეგ სადაც არ უნდა წახვიდე. ის სამყარო ყველგან თან გაგყვება. მეც ასე დამემართა. სტუდენტობისას ჩემი პირველი სცენარი დავწერე სუფლიორზე. რომელიც ერთ დღეს მიდის თეატრში და საკარნახო ორმო ამოჭედილი დახვდება...

ბ-ნ მიშას სცენარის მიხედვით ფილმის გადაღება უნდოდა. მოხდა სასწაული. იმ დღიდან არ გავჩერებულვარ. სულ მაქვს შეკვეთები. სამწუხაროდ, ბ-ნმა მიშამ ვერ მოასწრო ფილმის გადაღება. მას შემდეგ ბევრმა რეჟისორმა მთხოვა სცენარი. მაგრამ ვერავისთვის გავიმეტე.

ეს პიესა იმდენად გულწრფელად არის დაწერილი. რომ ვინც წაიკითხა. ყველამ მითხრა. ალბათ კანტის და შოპენჰაუერის გავლენის ქვეშ იყავი. პიესას რომ წერდით. მაშინ არც ერთი მქონდა წაკითხული და არც – მეორე. მას შემდეგ ბევრი სცენარი დავწერე. მაგრამ ასე მგონია, რომ იმაზე კარგს ვერაფერს დავწერ.

**– რატომ?**

– თუნდაც იმიტომ, რომ ვისწავლე რაღაც არ ვთქვა. მაშინ ყველაფერს ვამბობდი, რაც თავში მომდიოდა. სიმართლეს და გულწრფელობას დიდი ფასი აქვს და არასოდეს არ ძველდება.

**– ბ-ნი ერლომის შესახებაც გვიამბეთ...**

– ბ-ნი ერლომი არის მისი თაობის სინდისი.

უამრავი რამ ვისწავლე მისგან. ალბათ ამიტომაც გავბედე თეატრალურ ინსტიტუტში ჯგუფის აყვანა. მწერლობას ვერ ასწავლი. ამის პრეტენზია არც მაქვს, მინდა სტუდენტებს გადავცე ის ცოდნა, რაც ბ-ნი ერლომისგან მივიღე.

შარშან ტონინო გუერას – მსოფლიოს უდიდესი სცენარისტის მასტერ-კლასი გავიარე. ეს არის ბუმბერაზი ადამიანი. მაგრამ მის ფონზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რამდენად დიდია ბ-ნი ერლომი. ტონინო გუერასაგან არ გამიგია ისეთი რამ, რაც ბ-ნ ერლომს არ უთქვამს და არ უსწავლებია.

უბედურებაა, რომ ერლომ ახვლედიანი ქართველია და მის სიდიდეს ვერასოდეს გაიგებს მსოფლიო და ამავე დროს ბედნიერებაა, რომ ქართველებს გვყავს ასეთი ადამიანები.

ერთხელ მითხრა – მინდა დავწერო ოდა სიღარიბეზე, რადგან ეს ჩემი უპირატესობააო.

**– როცა სცენარს დაკვეთით წერთ, რა სირთულეებს აწყდებით?**

– არც ერთ სცენარს შეკვეთის გარეშე არ ვწერ. სცენარისტის პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ დამკვეთის გემოვნება, მოთხოვნა გაითვალისწინოს. თანაც არ დაკარგოს საკუთარი მსოფლმხედველობა, მოქალაქეობრივი პოზიცია, გემოვნება. ყველაფერში ბოლომდე ვიხარჯები. თუმცა, როცა რაღაც არ გამომდის, უარის თქმაც შემიძლია, თუნდაც ის ჩემი შემოსავლის წყარო იყოს. წაგებაც უნდა შეგეძლოს.

არ მაქვს პრეტენზია, რომ სხვაზე ნიჭიერი ვარ. თუმცა ვთვლი, რომ სხვაზე მეტად გამიმართლა ჩემს პროფესიაში.

„აუდიენციაში“ მოხდა ჩემი რეალიზაცია. სიამოვნებაა კოკა ყანდიაშვილთან მუშაობა. მან ზუსტად იცის, რა უნდა. „დიდების ზღაპარში“ და „ძილის წინაც“ ბევრი მოსწრებული ფრაზა, სწორედ მას ეკუთვნის.

მისი დამსახურებაა, რომ მარჯანიშვილის სცენაზე დაიდგა „შეხვედრის ადგილი“. ჩემი პიესის დაფინანსებისას აშკარად რისკზე წავიდა „აუდიენციის“ ფინანსური დირექტორი ზურა ჯანგულაშვილი. მინდა მასაც მადლობა ვუთხრა. მადლობა ყველას, ვინც მხარში ამომიდგა; განსაკუთრებით ცენტრპოინტს.

**– საერთოდ, ნაწარმოების პერსონაჟები ავტორის ენით საუბრობენ. მართლა ფიქრობთ, რომ ყველა ქალში მედეაა და სიყვარულისთვის ყველას გაწირავს?**

– გარკვეულწილად, დიახ.

**– სერიალში „ძილის წინ“ ტრადიციული ქართული ოჯახი დაგვიხატეთ. ალბათ თქვენც ასეთი ოჯახის შვილი ხართ...**

– მართლაც ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. იმდენად უდარდელად და ბედნიერად გაიარა ჩემმა ბავშვობამ. რომ რაღაც გაწონასწორება. უფრო სწორად. „თავში ჩარტყმა“ იყო ალბათ აუცილებელი. ორი წლის წინათ ჩემმა ძმამ თავი მოიკლა. მაქსიმალისტი იყო. ბოლომდე იხარჯებოდა, მაგრამ საკუთარი წინსვლისთვის ბრძოლა არ შეეძლო. ერთხელ თქვა: „როცა ყველა ფეხის ნაბიჯზე სიმახინჯე უნდა ასწორო, საბრძოლველი არაფერიაო“. ალბათ ამიტომაც არჩია იქ წასვლა.

ამას მოჰყვა განშორება მეუღლესთან. უამრავი სიძნელე გადავიტანეთ ერთად. მაგრამ როგორც ჩანს მაინც ვერ ვდგავარ იმ სიმაღლეზე, რომ ყველაფრის პატიება შევძლო.

ახლა მე და ჩემი პატარა მარიამი მარტო ვცხოვრობთ. როცა ადამიანს პრეტენზია აქვს შემოქმედებაზე, ოჯახს აკლდება. თუ კი რაიმეს მივაღწიე, თანაბრად უნდა გავუნაწილო ჩემი შვილის აღმზრდელს ქ-ნ ზოია გუჯაბიძეს. ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ არ მახსოვს, სახლში შევსულიყავი და არ ეღიმებოდეს.

დღეს ხშირად გაიგონებთ, ეს რა თაობა წამოვიდაო. კარგი და ცუდი ყველა თაობაში იყო. მე დიდ პოტენციალს ვხედავ ახლანდელ თაობაში და ბევრს ვსწავლობ მათგან. უფრო მეტიც, თუკი თანამედროვეობის რაიმე ელემენტი არის ჩემში, სწორედ მათი დამსახურებაა.

***

**ადამიანები არ იცვლებიან, უბრალოდ, დრო და დრო ცხოვრება ამოატივტივებს სულის სიღრმეებში დაფარულ კეთილსა და ბოროტს.**

**მაგრამ დღეს, როცა ყველა „ჩაკეტილია“ და როცა არ იცი, „რისთვის უნდა აშენდეს ტაძარი და ვინ უნდა აშენოს“, როცა „სულს ტკივილის განცდა აღარ ძალუძს“, მთავარია უბრძოლველად არ დავთმოთ სიცოცხლე.**

**ბოროტება იარაღით არ სწორდება. ბოროტებას სიკეთე ამარცხებს, თუმცა შეიძლება თავადაც შეეწიროს მას.**

**მკრთალად ეშვება სინათლის სვეტი სცენაზე. ცვივა თოვლის ფიფქები. ყალბია თოვლი. თუნდაც ნამდვილი იყოს, ამ ქვეყნად ბოროტებასა და ჭუჭყს მაინც ვერ დაფარავს. ან თუკი დაფარავს, მხოლოდ დროებით.**

**– მიწყალე მე, ღმერთო, – ხელაპყრობილი ევედრება სცენაზე მიშა გომიაშვილის გმირი უფალს და ლამის არის დარბაზში მყოფთ ხელები მაღლა აღვაპყრობთ და სასოებით შევძახოთ:**

**– გვიწყალე ჩვენ, ღმერთო!**



თამარი შვილთან

მარინე ჩაკაიძე

**P. S.** ახლახან შევიტყვეთ სასიამოვნო ფაქტი: თამარ ბართაია და მიშა გომიაშვილი შეუღლდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთა თოფურია კვლავ პოდიუმს უმზერს...



„ხშირად ნიჭიერებას გარკვეული წლები თუ პერიოდი ესაჭიროება თავის გამოსავლენად, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ნიჭიერება თავიდანვე გაჯადოვებს და ასხივებს თავის ენერგიას. სწორედ ასეთ მაგალითად მინდა მოვიყვანო ახალგაზრდა, უმშვენიერესი ფერია, რომლისთვისაც ღმერთმა არ დაიშურა არაფერი: „გარეგნობა, მომხიბვლელობა, ძლიერი ტემბრი და არტისტულობა“...

– ეს სიტყვები მამუკა ჩარკვიანს ეკუთვნის და იგი ესტრადის ახალგაზრდა, უკვე პოპულარულ მომღერალს, კონკურსების („ოქროს სიმები“, „ვარსკვლავთ ბილიკი“) და ფესტივალების (სოჭის I საერთაშორისო და „გაზაფხულის ხმების“) ლაურეატსა და გამარჯვებულს ქეთა თოფურიას ეხება.

15 წლის ქეთა, თბილისის მე-60 სკოლის მეცხრე კლასში სწავლობს, ჰოროსკოპით ვეფხვის წელს დაბადებული ქალწული გახლავთ, რაც განაპირობებს კიდეც მის ცვალებად ხასიათს – შემტევი და პრინციპული, ამავდროულად მშვიდი, უკომპლექსო და კონტაქტურია. საკუთარი თავი რვა წლიდან ახსოვს და სიმღერასთან დაკავშირებული მოგონებებიც იმ დროიდან იწყება, როცა გვიან ღამით, არავინ გაიგოსო, აივანზე გადიოდა და სიმღერას იწყებდა. საცხოვრებელი კორპუსის ჩაბნელებულ ფანჯრებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ სიმღერის დამთავრებისთანავე ისეთი ტაში ისმოდა, რომ დარცხვენილი გოგონა ოთახში შერბოდა. მისი პირველი მასწავლებელი იზა ლილუაშვილი გახლდათ, რომელმაც სულ თამაშ-თამაშით აზიარა მუსიკის სამყაროს. მერე კი... ათი წლისამ ბავშვთა სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და „მის ფოტომოდელი“ და „მის ტოპმოდელი“ გახდა. ამ წარმატების შემდეგ საბავშვო მანეკენთა თეატრ-სტუდიაში (ხელმძღვანელი და დიზაინერი ნინო ლურსმანაშვილი) მიიწვიეს. ისიც მონდომებით შეუდგა მოდელის პროფესიის დაუფლებას და პოდიუმზე საკუთარ გამოსვლებს თავისივე სიმღერით ახმოვანებდა. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა სასტუმრო „მეტეხში“ მოწყობილ ესპანურ ჩვენებაზე ნინომ, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა ქეთას მუსიკალური ნიჭის შესახებ, სთხოვა ამ თემაზე სიმღერა შეესრულებინა. გოგონა ნაზი დუმბაძესთან მიიყვანეს და მანაც სიამოვნებით აჩუქა სიმღერა საკუთარი რეპერტუარიდან. მერე ბათუმში მოუწიათ გამგზავრებამ, იქაც სიმღერა დასჭირდათ და ახლა დახმარებისათვის ოთარ ტატიშვილს მიმართეს. იმ დღიდან ქეთა თოფურია ოთარ ტატიშვილის მოსწავლე გახლავთ და კვირაში სამჯერ მისი ხელმძღვანელობით ეუფლება მომღერლის ოსტატობას.

გოგონა ძირითადად ქართველი კომპოზიტორების: ნუნუ გაბუნიას, ოთარ ტატიშვილის, გია მაჭარაშვილის, მამუკა ჩარკვიანის სპეციალურად მისთვის დაწერილ სიმღერებს ასრულებს. სცენაზე ბევრი ცნობილი მომღერლისთვის გაუწევია პარტნიორობა, განსაკუთრებით ემადლიერება ეკა კვალიაშვილს, მამუკა ჩარკვიანს, დათო გომართელს, აჩი ფურცელაძეს, ანსამბლ „ქართულ ხმებს“, რომლებიც ასაკობრივ სხვაობას არ აგრძნობინებენ და, რაც მთავარია, სიმღერის ჩვევებსა და უბრალო ადამიანურ ურთიერთობებსაც აზიარებენ.

ოჯახში ქეთა ცოტას წაიზარმაცებს ხოლმე, დიასახლისობა დიდად არ ეხერხება, თუმცა როცა კარგ ხასიათზეა, „იდეალის“ გამოცხობაც შეუძლია. ისე კი, სამზარეულოში მისი ტრიალი ძირითადად პურის შეწვით შემოიფარგლება, რაც უმეტეს შემთხვევაში, დაწვით მთავრდება ხოლმე. მოგვიანებით კვერცხის შეწვაც ისწავლა.

პირველ გატაცებას დღეს ღიმილით იხსენებს – თორმეტი წლის იყო და ოთხი წლით უფროსი ბიჭი უყვარდა. ამაღლებული გრძნობა საკმაოდ „დიდხანს“ – სამ თვეს გაჰყვა.

თაყვანისმცემლების ნაკლებობას ქეთა არც დღეს უჩივის – იდუმალი მოტრფიალენი კვირაში ორჯერ უგზავნიან ყვავილებს და სადარბაზოს კედლებს წარწერებით უჭრელებენ – მიყვარხარო.

საკუთარ თავზე ჭორი ხშირად სმენია – უმეტეს შემთხვევაში ათხოვებენ და ერთ-ერთ სავარაუდო საქმროდ აჩი ფურცელაძეს ასახელებენ. ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, თორემ გათხოვებამდე ჯერ კარგა დიდი გზა უდევს წინ და ისიც გაძლიერებული პროგრამით ეუფლება ინგლისურსა და კომპიუტერს, უნივერსიტეტისთვის ემზადება, თუმცა საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია – ან ჟურნალისტი გახდება, ან – მუსიკისმცოდნე.

ამ ზაფხულს ქობულეთში, ღამის კლუბ „ლიმონში“ შემოქმედებითი გაერთიანება „ფორტუნა-97“-ის (გენ. დირექტორი ც. ყიფიანი) მიერ თითქმის ყოველ საღამოს მოწყობილ მუსიკალურ საღამოებში ცნობილ მომღერლებთან (მამუკა ჩარკვიანი, აჩიკო მეფარიძე, დათო ხუჯაძე, თემურ რცხილაძე, ანრი ჯოხაძე) ერთად ქეთაც იღებდა მონაწილეობას, ხოლო იქვე გამართულ ზალიკო ბერგერის მოდების ჩვენებაზე ბავშვობისდროინდელი გატაცება „გაიხსენა“ და პოდიუმის ნამდვილ მშვენებად იქცა.

რამდენად ნიჭიერი ჟურნალისტი დადგება ქეთა, ამას დრო გვიჩვენებს. ჯერ კი მთელი სერიოზულობით ეუფლება მომღერლის პროფესიას და საკუთარი პროდიუსერის მამუკა ბერიკას მეშვეობით მნიშვნელოვან კონცერტებს გეგმავს ახლო და შორეულ საზღვარგარეთში.

აქ კი მის ნიჭიერებაში ეჭვი არავის შეაქვს.

მანანა იმესაშვილი

# სახელი –

ისტორია

წლეულს ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის IX სამუსიკო სკოლის დაარსებიდან 80 წელი შესრულდა, რასაც დაემთხვა საკრავიერი ხელოვნების კოლეჯის 10 წლისთავი, რომელიც IX სამუსიკო სკოლის ბაზაზე შეიქმნა. რამდენი რამის მომსწრეა ეს უბერებელი სასწავლებელი. თაობები მოდიან და მიდიან. მე ორმოციოდე წელია მათი ცხოვრებით ვცხოვრობ. მათთან ერთად განვიცდი წარმატებებსა თუ ტკივილს.

მიქელაძის სახელობის თბილისის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯი ერთადერთი სპეციალიზებული სასწავლებელია, რომელიც საშუალო განათლების ორკესტრის მსახიობებს ამზადებს. დღევანდელი საქართველოს მუსიკისა დიდი მიგრაციის ფონზე კოლეჯი საოცრად დიდ ძალას კისრულობს ეროვნული კადრების მომზადებაში.

რომელსაც სკოლა თავისი არსებობის 50-ე წლის შემდეგ, დირექტორმა ილია ჩარაბაძემ საზოგადოებას ამცნო, რომ ამ საიუბილეო დღეებში კოლექტივი ახალ შენობას მიიღებსო. მაგონდება ის დიდი სიხარული, რაც ამ ფრაზამ გამოიწვია. და კვლავ სიხარული. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება ბატონმა რობერტ ვახტანგოვმა გვამცნო: „გარკვეული დამსახურებების და სკოლის გამორჩეულად ინსტრუმენტული მიმართულების გამო IX სამუსიკო სკოლას მიენიჭა დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის სახელი“. დაუმსახურებლად მივიწყებული სახელის კვლავ აღზევებამ აადელვა ცნობილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი.

დიახ! ახალი შენობა ოცდაათიოდე წლის წინ გადმოგვეცა. ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ შენობა მუსიკალურ სკოლად გვექცია. ძველი ფაქტიურად მხოლოდ კედლებიდა შერჩა. დანარჩენი ჩვენი საკუთარი ხელების დაუღალავი, გამოყოფილი ბიუჯეტის შედეგი იყო. ამიტომაც ათმაგად გვიყვარს ჩვენი სკოლა და მისი შენობაც.

ეს იყო და არის ერთიანი ოჯახი, სადაც ტრადიციულად გრძელდება შემოქმედებითი ძიება. მაგონდება მშობლების ის ხშირი დავა დირექტორის კაბინეტიდან რომ ისმოდა. რატომღაც ყველა მშობელს თავისი შვილის პიანისტობა უნდოდა. ბ-ნი ილია კი ჩვეული მოქნილობით საორკესტრო განყოფილებას სთავაზობდა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას – წარმატებითაც. ასე გაჩნდა სკოლის კედლებში საკრავთა ხმოვანების მრავალფეროვანი პალიტრა. იყო ეს ვიოლინო, ალტი, ჩელო თუ კონტრაბასი; საყვირი, ვალტორნა, ტუბა თუ ფაგოტი; დასარტყამ საკრავთა გამუდმებული კაკანი ხომ გულს გვიწყალებდა... გამუდმებით ზრუნავდნენ ორკესტრის ახალგაზრდა კადრების მოზიდვისათვის. სკოლაში თავი მოიყარეს პროფესიონალმა ოსტატებმა: დ. ერიქაშვილმა, გ. ჩინჩალაძემ, ო. მუმლაძემ, შ. შანიძემ, გ. შავერდიანმა, ნ. დავითაშვილმა, ა. მეგრელიძემ, ი. ყიფშიძემ და სხვებმა.

ცნობილი დირიჟორები ზრუნვას არ აკლებდნენ თავის პატარა ხელისტებს. უწყვეტლივ ლაიმზე საღამოები იმართებოდა სკოლის სხვა-

# მილანში კონსტრუირების ფაკულტეტზე ვისწავლი

**ნელი მარიკაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის IV კურსის სტუდენტია. წელს მოსკოვში ჟურნალ „ბუტიკის“ მიერ ჩატარებულ ევროპის მხატვარ-მოდელიორთა საერთაშორისო კონკურსზე, რომელსაც ორგანიზაციის პრეზიდენტი, იტალიელი ჯუზეპე მაკალიც ესწრებოდა, ქართველმა გოგონამ გრან-პრი მიიღო. ის კონკურსზე საკუთარი წითელი კაბით წარსდგა. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა დიზაინერი გრან-პრის სხვა სიკეთეებთან ერთად, იტალიაში, კერძოდ, მილანის კარლოს მეკულის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტრუირების ფაკულტეტზე ისწავლის.**



**– ნელი, როგორც ვიცით, პირველად 1996 წელს „ენნებურდას“ კონკურსში მიიღეთ მონაწილეობა...**

– დიახ, მაშინ 15 წლის ვიყავი. კონკურსის პირველი ტური თბილისში ჩატარდა, ხოლო მეორე – მოსკოვში. თბილისში პირველი ადგილი ავიღე, მოსკოვში – მეორე.

**– 1999 წელს ჟურნალ „ბუტიკმა“ ჩაატარა კავკასიის რეგიონალური კონკურსი. თქვენც მიიღეთ მონაწილეობა?**

– დიახ, 1999 წელს უკვე 18 წლის ვიყავი და კონკურსში მონაწილეობა მივიღე. თბილისში პირველი ადგილი ავიღე, საკერავი მანქანითაც დამაჯილდოვეს, მოსკოვში ვეღარ გავიმარჯვე და მწარედ დამამახსოვრდა.

**– კონკურსში გამარჯვების შემდეგ დიზაინერს კატეგორია ენიჭება. თქვენი კატეგორიები?**

– პირველად რომ გავიმარჯვე, A კატეგორია მომანიჭეს (დამწყებთათვის), მეორე გამარჯვებაზე B კატეგორია (გამოცდილების), მესამეზე – E კატეგორია (პროფესიონალიზმის).

**– თქვენზე ამბობენ საკერავი მანქანების კოლექცია აქვსო, მართალია?**

– სამივე კონკურსზე უნიკალური საკერავი მანქანებით დამაჯილდოვეს, ხოლო მეოთხე, გერმანული ძვირადღირებული მანქანა მამამ მიყიდა, რომელიც ყველაფერზე მუშაობს, დაწყებული შიფონით, ტყავით დამთავრებული.

**– ამჟამად რამდენი მოდელი გაქვს მზად?**

– ბოლო კონკურსზე 30 მოდელი გავიტანე.

**– მოდელიორებაში ორი ხაზი გამოიკვეთა – მოდა უტილიტა, სამომხმარებლო მოდა და მოდა ხელოვნება, ანუ მაღალი მოდა, რომლის თითოეული ნიმუში ხელოვნებაა და არა მოხმარების საგანი. რომელი ხაზით მუშაობთ და თქვენი წითელი კაბა, ვფიქრობ მაღალი მოდის ნიმუშია.**

– ორივე ხაზით ვმუშაობ. წითელი საღამოს კაბა, რომელმაც გრან-პრი მიიღო, რთული ნამუშევარია.

**– ჩვენების შემდეგ კოლექციისადმი ინტერესი ხომ არ გიქრებათ?**

– არა, თითოეული მოდელი მიყვარს და გაყიდვაც მენანება.

**– თქვენი შემთხვევა იშვიათია: დიზაინერი, შემსრულებელი და მანეკენი. როცა პოდიუმზე გადიხართ, ღელავთ თუ არა?**

– იმ წუთებში ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ, მინდა მოდელი რაც შეიძლება კარგად წარმოვაჩინო.

**– სად ისწავლეთ პოდიუმზე გასვლა?**

– ორი წლის წინ თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში მანეკენების კურსები გაიხსნა და იქ მიმიღეს, ჩემი 170 სმ სიმაღლემაც დააკმაყოფილა.

**– როგორია თქვენთან „გაშიშვლების“ ტენდენცია?**

– მე უფრო მე-19 საუკუნის ევროპული კოსტიუმების დეტალები მომწონს. მაღალი საყელო, კრინოლინი, ოდნავ გადმოწეული სამხრეები, ოღონდ დღევანდელობასთან შეფარდებული.

**– მომავლის გეგმები?**

– სექტემბერში იტალიაში ვიქნები, მილანის უნივერსიტეტში ვისწავლი. ავირჩიე კონსტრუირების (თარგის შექმნა) ფაკულტეტი და ამიტომ დაჩქარებული მეთოდით იტალიურ ენას ვეუფლები. მერე სამხატვრო აკადემია უნდა დავამთავრო და ალბათ დამოუკიდებლად ვიმუშავებ. დანარჩენს მომავალი მიჩვენებს.

ესაუბრა ირმა ჩოფიკაშვილი

# საქმით მეტყველი

დასხვა ანსამბლების შესრულებით: იყო სიმებიანი კვარტეტი თუ ჩასაბერ საკრავთა სხვადასხვა ანსამბლები, მოსწავლეთა კამერული თუ ჩასაბერ საკრავთა ორკესტრები. ჟღერდა მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდის კონცერტები.

ნათლად აღმიდგა მეხსიერებაში სკოლის საოცარი კონცერტები სანკტ-პეტერბურგის, ტალინის, იურმალის, რიგის, ოდესის, კიევის, ნოვოსიბირსკის, პოლონეთის, ამიერკავკასიის თუ რესპუბლიკის სხვადასხვა მუსიკალურ სკოლასთან. გაცვლითი კონცერტები თუ თეორიული კონფერენციები.

ხმა გავრცელდა – ახალ დირექტორს ნიშნავენო. ეს ბ-ნი გიორგი (გია) ქორქაძე იყო. პროფესიით მევიოლინე და იმავდროულად ეკონომისტი: გულისხმიერი, ენერგიული.

სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა ბოლომდე ინარჩუნებდა და ინარჩუნებს კონტაქტს სკოლასთან. მათ შორის: სულხან ცინცაძე, დალი ჩხეიძე, ედგარ შეჩრილიძე, ლილი კაპუნია, რეზოდან თოხაძე, ნათელა გიორგაძე, ალექსანდრე კასაძე, ტარიელ ბერაძე. ქართველი კომპოზიტორები სპეციალურად წერდნენ ჩვენი ბავშვებისათვის, იმართებოდა შეხვედრები. სკოლის ხშირი სტუმარი იყო ბ-ნი ანდრია ბალანჩივაძე. ყოველი კონცერტი გამოირჩეოდა ეროვნული ხასიათით. ეს სავალდებულოც იყო გასვლითი კონცერტებისათვის. იმედი მაქვს, ტრადიცია გაგრძელდება და ამ იმედს ჩვენგან ემიგრირებული, ჩვენი გუშინდელი ბავშვები – დღეს დიდი პროფესიონალი მუსიკოსები მინერგავენ – საკონცერტო პროგრამის აუცილებელ ნაწილად ქართულ მუსიკას რომ მიიჩნევენ. ასეთები კი ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან. მათ შორის: საბერძნეთში კოტე დათუაშვილი (ჩელო), იტალიაში მზია ბახტურიძე (ფ-ნო), გერმანიაში მარიკა ლაფაური (ფ-ნო და ორღანი), რეზო კიკნაძე (კომპოზიცია – საქსაფონი), საფრანგეთი ეთერ ბატატაშვილი (ვიოლინო), აშშ-ში თეა ლონდარიძე (ფ-ნო), გიორგი კაჩაძე (ფ-ნო), ინგლისში გაგა ლონდარიძე (კონტრაბასი).

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სწავლას განაგრძობენ ნიკა მემანიშვილი, ალეკო ბოკოლიშვილი, გიორგი მახოშვილი და სხვანი.

საიუბილეო დღეებში სკოლის მთელმა ცხოვრებამ შემახსენა თავი... ალბათ, ზოგჯერ საჭიროა, შევჩერდეთ, დავფიქრდეთ, პატივი მივაგოთ წინა თაობებს... ჩემი კოლეგები, მეგობრები... ბევრი მათგანი აღარ არის ჩვენს შორის. თითოეულის ღვაწლი ცალკე თხრობის თემაა, მაგრამ ამ დღეებში თითქოს ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი. ეს ზეიმი მათი უანგარო წვლილის შედეგიც არის. ალბათ, სწორედ ეს თავდადება იყო ის – ტრადიციულად რომ უბოძეს დღევანდელ თაობას. ამიტომ არის სასწავლებელი ცოცხალი ორგანიზმი, სადაც თაობათა დინებას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ტრადიცია.

დიახ! ტრადიცია გრძელდება...

მედეა ქელბაქიანი,
მუსიკისმცოდნე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თქვენზე ალალია კარგი



სულ ახლახანს 60 წელი შეუსრულდა ქართული კინოს კოლორიტს — მსახიობ ელგუჯა ბურდულს.



მეფე მირიანი — „მოქცევა“

**ბატონი გუჯას შესახედაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასაკი სულაც არ ყოფილა ხანდაზმულობისა, ისე ჭაბუკურად არის შემართული (ხმამაღალი სიტყვებია, მაგრამ მისი სპორტული აღნაგობისა და მხნე გამომეტყველების ზუსტად შესაფერისი).**

მოსკოვში წასასვლელად ემზადებოდა ბატონი გუჯა. რუსეთის ნაციონალური კინემატოგრაფიის ცენტრიდან მოწვევა მოუვიდა — იქ აპირებენ მისი საიუბილეო თარიღის აღნიშვნას. გახარებული იყო.

— რატომაც არა! უფრო იმიტომ მიხარია, რომ არც არაფერს ველოდი და აი... თურმე კიდევ ხსომებივარ და ჩემი გახარება სწადიათ, — ამბობს წრფელად. — ოღონდ მანამდე, საძმაკაცოში ფული უნდა შევაგროვო... ამას წინათ კინოს სახლში ვაჩვენეთ ჩვენი ფილმების ვიდეოკოლაჟი (მე და მაიამ ტელევიზიის მეორე არხის დახმარებით დავამონტაჟეთ), ახლა მისი რუსულად გახმოვანებაა საჭირო. იქ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ერთგვარი წარდგენაც იქნება...

***

ორმოცდაათამდე ფილმში აქვს ნათამაშები მთავარი თუ ეპიზოდური როლი. საბჭოთა კავშირში სად აღარ იწვევდნენ სახასიათო თუ საგმირო როლების უბადლო შემსრულებელს. მისი მარჯვე და თავდაუზოგავი გმირები მამაცობითა თუ ათასგვარი ტრიუკებით ამახსოვრებენ მაყურებელს თავს. მას დუბლიორი არასოდეს ჰყოლია — იგი თავისი თავის კასკადიორიცაა. ოო, გული როგორ წყდება, რომ მის ფანტაზიებს ჯერაც არ შეესხა ფრთები — ათასგვარი ტრიუკებით დახუნძლულ როლებში ბოლომდე ვერ დაიხარჯა.

ასეთ მსახიობს დასავლეთში ძალიან ბევრს უხდიან.

თვითონ კი... მხოლოდ ერთხელ დაადო თავის ნამუშევარს ფასი, საბჭოთა გარდაქმნის პერიოდში — ერთობლივად იღებდნენ ფილმს გერმანია, რუსეთი და უკრაინა. და იგი, გუჯა ბურდული გერმანელ რეჟისორს ფლაიშმანს შესთავაზებს, — გავაკეთებ ამას, ამას და ამას, — და ისეთი სუნთქვისშემკვრელი ფანტაზიებით ჩახლართული ტრიუკები დაუხატა, რომელიც არავის არასოდეს გაუკეთებია, — ოღონდ ამას ასი ათასი მანეთი სჭირდებაო. ეს იყო უმცირესი საზღაური, რასაც ასეთ დროს იხდიან.

გადაირია ფლაიშმანი. ფული ებევრა საბჭოთა მსახიობისათვის, არადა ძალიან უნდოდა ეს ყველაფერი. ინტრიგას მიმართა და... კულტურის სამინისტროდან, კამშალოვი იყო მაშინ მინისტრი, აფრინეს დეპეშა „ქართულ ფილმში“ — თქვენი მსახიობი ფლაიშმანს ფულსა სძალავსო. რეზო ჩხეიძეს დაუცავს. გარდაქმნის შუადღე იდგა, თორემ ციმბირი აქეთ დარჩებოდა.

***

მაინც რატომ გახდა მსახიობი გუჯა ბურდული? — მაშინ, როცა ყმაწვილკაცობაში არტისტობა არავაჟკაცურ საქმედ მიაჩნდა (ახლა გული მოსდის ამაზე). 30 წლისა იყო, როცა მისი გადაღება დაიწყეს.

და თუ როგორ გახდა იგი მსახიობი, თავად მას მოვუსმინოთ:

დავიბადე და გავიზარდე თბილისში. მამა მთიული მყავდა, დინჯი, უსაყვარლესი ხასიათის კაცი; დედა ნამდვილი გურული — მისი მოუფიქრებელ-შეუსრულებელი არაფერი იყო, ნამდვილი ფანტაზიორი. აგიჟებდა მეზობლებს. სად აღარ დამატარებდა — გერმანულზე, ინგლისურზე, მუსიკაზე, ცეკვაზე... არდადეგებზე ხან მთის სოფელ არხვეთში მივეშურებოდი (ახლაც არის იქ ჩვენი საგვარეულო კოშკის ნაშთები), ხან — გურიის, იქაც მთიან ზემო ხეთში. თბილისში დაბრუნებისას ხან მთიულურად ვუქცევდი, ხან — გურულად. მაინც საიდან სადაო — მთიული და გურული. მამისა და დედის მკვეთრად განსხვავებული ხასიათები თანაბრად შეერწყა ჩემს ბუნებას. მთაში უფრო დინჯი და მოზომილი ვარ, გურიაში კი — აიტ! ისე, ნამდვილი ქართული ხასიათი მაქვს — აქეთურიც, იქითურიც.

ბავშვობიდან ნამდვილი მთის შვილი ვიყავი, ცურვასა და ნადირობაში ადრიანად გაწაფული. გურიაში ჩვენს საცურაოს, „სადათვიას“ რომ ვეძახდით, იმდენჯერ შემოვუვლიდით „ძაღლურით“, თვლა არ ჰქონდა. მერე თბილისის ზღვამ დამაოსტატა ცურვასა და ყვინთვაში... ისე, ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ორძელზეც ვვარჯიშობდი, კრივზე დავდიოდი, ჰოკეისტიც ვიყავი (ერთი პერიოდი ჰოკეის მოედანი იყო თბილისში, გვქონდა ამისი ბედნიერება), ცხენით ჯირითი ხომ მიყვარდა და მიყვარდა...

მერე, ჩემო ბატონო, ცეკვა-თამაში ჩემი მოგონილი იყო. სამი წელი სუხიშვილებთან ვცეკვავდი. ვუკრავდი ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, გიტარაზე, სალამურზე, დოლზე, გარმონზე (ზოგი დედის ბრალი იყო, ზოგი — ჩემი). ცეკვით შევედი პირველად კინოში („ჩვენო ეზო“), ოღონდ ეს არის, მხოლოდ ფეხები მომიჩანს.

ისე კი, პირველი სერიოზული როლი რეჟისორმა გასპაროვმა შემომთავაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ვესტერნი



„დიმიტრი თავდადებული", დავით აღმაშენებელი

ოდესაში გადამიღეს. თავიდან ისე რა, მერე და მერე მივხვდი, ეს ჩემი საქმე იყო. აქ თემურ ბაბლუანმა აღმომაჩინა. ოთხმოციან წლებში „ბედურების გადაფრენაში" ვითამაშე.

– მაინც რატომ სცემეთ ასე უსაშველოდ ის ვითომდა მაესტრო, ასეთ უსაშველოს რას სჩადიოდა-მეთქი?

– როგორ კაცო, ქვეყანას დასცინოდა, თვალს არ ახამხამებდა ისე... ისე, ფეითთონაც არ მირტყა. რო? თემურის გმირი იყო, ბიჭიაშვილის, ჩემი ძმის, სასწაულად კარგი ვაჟკაცის, იმის სულს შემოევლოს ჩემი თავი...

მერე იყო მთავარი როლი ირაკლი კვირიკაძისა და ნანა ჯორჯაძის „მოცურავეში". მერე მირიანს ვთამაშობდი ნოდარ ომიაძის „მოქცევაში". ბუბა ხოტივარის „დემეტრე თავდადებულში" დავით აღმაშენებელი ვიყავი... ასე რომ, ხომ ხედავთ, სულ მეფე ვარ; აი, ბოშათა ბარონის როლი შემომთავაზეს, არ მომეწონა და უარი ვთქვი.

– ხშირად გითქვამთ როლზე უარი?

– ხშირად! თუ არ მომეწონა, არ ვთამაშობ. თუ დავთანხმდი, გულდაგულ ვწერ გმირის დროინდელ ეპოქის შესწავლას. ბევრს ვკითხულობ და ბევრს ვფიქრობ. [illegible]

როლს, ეს აღარ ვიცი.

ვოცნებობ კარგ ვესტერნზე, სადაც ბევრს ვიჯირითებ, ვიომებ, ვიხმალავებ, ერთი სიტყვით, ჩემს ფანტაზიებს ფრთებს შევასხამ.

***

გუჯა ბურდულს ოითებზე ჩამოსათვლელი როლები აქვს ნათამაშები ქართულ ფილმებში, მაგრამ ყველა მათგანი ისეა გამოძერწილი, რომ ძნელად რომ დაავიწყდეს მაყურებელს.

გეხსომებათ ალბათ, რა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია თემურ ბაბლუანის „უძინართა მზის" პირველმა ჩვენებებმა, სადაც მსახიობი მართლაც არაჩვეულებრივად თამაშობს თავდაუზოგავად კეთილშობილი კაცის – გელა ექიმის როლს. მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ამ ფილმმა მთავარი პრიზი – „ნიკე" მოიპოვა, ხოლო გუჯა ბურდული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. აქვს რუსეთის სხვა ფესტივალების პრესტიჟული პრიზებიც; აი, საქართველოში კი ჯერ არ დაუჯილდოვებიათ.

თუმცა როგორ არა, სპეციალური სიგელი და ჯვარი ებოძა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ. ეს მისი ყველაზე მთავარი ჯილდოა აწმყოსა და ალბათ მომავალშიც...

***

გუჯა ბურდულზე ამბობენ – უცნაური კაციაო. უცნაურები ჩვენ ვართ, მისი დღევანდელობისთვის უჩვეულო გულმადლიანობა უჩვეულოდ რომ გვეჩვენება.

დადის, დაიარება ტყესა და ღრეში, ვინ იცის, რამდენჯერ აუყვანია უძოს მთაზე შვილები თუ შვილიშვილები, ქამარში ნაჯახგაყრილი გულმოდგინედ ამოწმებს ხის ტოტებს, გამხმარს ფრთხილად ჩამოაჭრის, ჯანმრთელმა უფრო ღრმად რომ ამოისუნთქოს... მისი „კოლეგა" ბელურას ამბავი ხომ ყველამ იცის – ჯერაც ვერ მოუნელებია მისი სიკვდილი. როგორ ჰყავდა შეჩვეული... ყველგან დაჰყვებოდა პატრონს, მის გულისჯიბეში საიმედოდ მიყუჟული. ერთხელაც მიწვა ძირს გაფენილ ქურთუკზე ბატონი გუჯა. ის წუთი იყო, მისი ბელურა თავს დაჰფუფუნებდა, როდისღა მოასწრო ჯიბეში ჩაძრომა... მიწვა და... დიდის ამბით დაასაფლავა, გულში ჩაბრუნებული მამაკაცური ცრემლით...

ერთი თვე უვლიდა დაჭრილ არწივს, ახალი ხორცით ჰკვებავდა, გამოაჯანმრთელა და გაუშვა – აბა, რა უნდა ექნა?

„დიმიტრი თავდადებულში" აღმაშენებელს თამაშობდა და ცხენიც შესაფერისი ჰყავდა, რა თქმა უნდა – თეთრი, მაღალკანჭება ულამაზესი „სატრაპი". ახლაც იგონებენ გადამღები ჯგუფიდან – თუ როგორ აიყვანა ხელში გუჯა ბურდულმა თავისი თეთრონი ცისაბოზე – ისე სათუთი იყო, შემებრალა და მეტი ვერაფერი მოვიფიქრეო.

ეჰ, ბატონო გუჯა, მართლაც რომ ალალია თქვენთვის ერთი კარგი ქართული ვესტერნი.

მანანა ჩარაძე

# მოწამეთის სასწაული

**ნამდვილი ამბავი**

გოგონა დიდხანს ვერ შეელია თოჯინებს... ბოლოს სკივრში შეინახა, დროდადრო ჩუმად მონახულებდა ხოლმე, მოეფერებოდა.

გოგონა დაქალიშვილდა, ირგვლივ სილამაზეს, სათნოებას და სიკეთეს აფრქვევდა. გათხოვდა, ღირსეული ოჯახის რძალი გახდა. თითქოს მის ბედნიერებას არაფერი აკლდა, მაგრამ არა, ნანატრი შვილი არ ჩანდა.

არცერთი საყვედური არ ახსოვდა ოჯახიდან, სათნოებით სავსე დედამთილი ამშვიდებდა, ახალგაზრდა ხარ, დედობას მოესწრებიო.

შეიტყო, უშვილობის დროს ხატს აკვანს სწირავენო. მოსვენება დაკარგა. ქმარიც აიყოლია. მოწამეთის მონასტერს მიაშურეს, დავით და კონსტანტინეს სალოცავს. მინიატიურული ოქროს აკვანი შეწირეს. დედობა მაღირსეო, მუხლმოყრილი ევედრებოდა განგებას.

შეისმინა უფალმა მუდარა. ერთი წლის შემდეგ ვაჟი დაიბადა, დავითი დაარქვეს. შემდეგ კონსტანტინე მოევლინა ქვეყანას.

სანამ ბავშვები არ წამოიზარდნენ, ტანზე არ გაუხდია, მშვიდად არ უძინია. ღამე შვილების სუნთქვას აყურადებდა. ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი ყოველდღე ღმერთს მადლობას წირავდა ამ ბედნიერებისათვის. გაიზარდნენ შვილები. კაკო, 19 წლის ბიჭი, ფრონტზე გაიწვიეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა.

არ ეგონა თუ ამ დარდს გადაიტანდა, მთელი ცხოვრება თვალზე ცრემლი არ შეშრობია, ამაოდ, მაგრამ მაინც ელოდა შვილს.

უფროსი ვაჟი, დავითი დაოჯახდა. შვილით, რძლით და ორი შვილიშვილით გაიხარა. შვილიშვილებზე მზე და მთვარე ამოდიოდა.

გავიდა წლები. ღრმად მოხუცი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თვალი შეავლო ოჯახის წევრებს, დალოცა და ჩაილაპარაკა: კაკო შვილო, შენი ხელითაც დამყროდა მიწაო...

ქალი, რომელზეც გიამბეთ, ბებიაჩემი – ივლიტე მაჭავარიანი იყო, დავითი – მამაჩემი, კაკო – ბიძა. ბებია ხშირად ჰყვებოდა ამ ამბავს, იმაზე, თუ როგორ გადმოვიდა მასზე მოწამეთის სალოცავისთვის შეწირული ოქროს აკვნის მადლი.

მე ორჯერ ველოდი დედობას, არ გამიმართლა... ახლა, როცა უკვე გვიანაა, ვნანობ, რატომ არ წავედი მოწამეთაში, რატომ არ შევწირე სალოცავს ოქროს აკვანი. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჩემმა „მზიისთვის წიგნმა" თითქმის დედობის მადლი მაზიარა...

გმადლობთ, უფალო!

ლიკა ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუილ მარშაკი

თარგმნა ნარგიზა მგელაძემ

# ჭრელი დედალი და იხვის ათი ჭუჭული

დედაბრის და ბერიკაცის
და იმათი ჭრელი ქათმის
ზღაპარი თუ გაგიგია?
კრუხს რომ კვერცხი დაუდვია,
აუღია დაუღია,
არა მომცრო, არა თეთრი,
ოქროს კვერცხი დაუდვია.
მაგრამ ახლა ოქროს კვერცხის
ზღაპარს როდი გიყვებით.
ამზავია სხვა დედაბრის
და იმისი ჭრელი ქათმის
და იმ ქათმის გამოჩეკილ
ჭრელი იხვის ჭუკების.
და ამ სულ სხვა ზღაპარში
კრუხმა დადო კვერცხი.
არაჩვეულებრივი?
არა, ჩვეულებრივი.
არც ოქროს, არც ვერცხლის.
მაგრამ იცით, რა მოხდა?
საიდანღაც უცაბედად
თაგუნია გადმოხტა.
იმ კვერცხს კუდი გამოკრა,
კვერცხი გვერდზე გაგორდა.
რა იყო და, როგორ და,
ჯაახ!

კრუხი თავში იცემდა,
მთელ სიცოცხლეს მისცემდა,
კვერცხი რომ შერჩენოდა.
მაგრამ კვერცხი არ იყო.
ბებომ გოზი აიღო,
კუნკულით და ცანცარით
კვერცხი ერთი კი არა,
მოიტანა ცხრა ცალი.
თუმცა ცხრა კი არა,
კვერცხი იყო ათი.
სულ თავიდან ითვლის.
კი, ნამდვილად ათი
კვერცხი იყო იხვის.
და იმ წამსვე კრუხმა
საქმეს მიჰყო ხელი
საბუდარში წიწილების
გამოჩეკას ელის.
უცებ „ტკაც" და „მშია"
დაიძახა კვერცხმა
და ათივე ერთად
აჰყვა „მეც, მეც".
კრუხმა წიწილები
გაიყვანა გარეთ,
დედა თავის შვილებს
ფხიზლად უთვალთვალებს.
მიწა გადაჩიჩქნა,
იპოვა მარცვალი,
მარცვალი ხორბლისა,
მარცვალი ცხრა ცალი.
კრუხი თავის შვილებს
ეძახის: აქ მოდით,
ახლავე მობრუნდით,
ახლავე წამოდით!
თუმცა ჭუჭულები
დედასთან დაბრუნდნენ,
ტბორი დაინახეს,
უკანვე გაბრუნდნენ.
ლურჯი ტბორისკენ
ვიტვიტით მირბიან,
გზადაგზა ხასხასა
ბალახსაც წიწკნიან.
სანყალი ჭუჭულა
გაოცებულია,
მარცვალს არ ჭამენო,
ეს სადაურია?
მორბის, მოკაკანებს
ერთი ვაინჩრობით:
წყალში არ ჩახვიდეთ,
წყალში დაიხრჩობით.
ქათამს ცეცხლზე მეტად
წყლისა ეშინია,
ჭუჭულებისათვის
ცურვა ხომ ლხინია!
ხმა თითქოს ჩაუწყდა,
თავისთვის ჩურჩულებს:
გამოდით, შვილებო,
ეძახის ჭუჭულებს.
ცხრა კი გამოვიდა,
დაადგა საშველი,
მეათე აღარ ჩანს,
არიქა, მაშველი!
შვილი მეღუპება,
მიშველეთ, არიქა,
ამ უბედურებას
დედა რას გადიტანს!
ამ ვაი-ვაგლახში
ამაყი იერით
წყლიდან ამობრძანდა
ჭუჭული ყვითელი.
ჭია დაეჭირა,
იმას მიირთმევდა
და თავის ცხრა და-ძმას
ფეხდაფეხ მისდევდა.
მეორე ტბორისკენ გასწიეს ტაატით
თავს არ იწუხებენ დედასთან
კამათით.

***

იქვე, ბალახებში,
კატა ნაბავს თვალებს,
ულვაშს აცმაცუნებს,
იხვებს უთვალთვალებს.
კრუხმა წამოშალა ფრთები
და ბუმბული
კატისკენ გაფრინდა, ისე
ვით შურდული.
თავს ესხმის ულვაშას
მძაფრი გაატრებით
ფრთები გაუშლია
როგორც იალქნები.
და თავლაფდასხმული
გაიქცა ულვაშა,
სირბილში ისწორებს ულვაშს
და ქულაჯას.
რა ბედი ჰქონიათ ჭუჭულებს,
ხედავთ?
იშოვეს ასეთი ყოჩალი დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლექსები ჟურნალ „საქართველოს ქალისა“ და ქალთა საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე „ქალი და სამყარო“ წამახალისებელი პრიზით აღინიშნა

თინა ჭელიძე

## მე რომ შენ მყავდე

მე რომ შენ მყავდე,
მექნებოდა ურიცხვი ნაძვრა:
ჯერ ხარის წეჟზე
გასხნავლიდი ნახშირით ხაცვას.
მე რომ შენ მყავდე,
მოგიჩენდი ემბაზად ფაზისს,
ქოხს მოგიქნნავდი
პონცოს პირას ქართული ვაზის.
მე რომ შენ მყავდე,
გასაზრდელი ნვით და კირთებით,
ფეხშიშველ ყმანვილს
ცხენჯოხათი გაჯირითებდი.
ავუკრძალავდი
შენს ბავშვურ ფიქრს
ოცნებას ხალასს –
თუნდ სათამაშო
იარაღით სიკვდილთან თამაშს.
და ღედურ გულის
აუნყავი სათუთი გრძნობით
კაცურ კაცობას
გასხნავლიდი ოცნებით შობილს.
..
მე რომ შენ მყავდე...

### სხვისია

თუ სხვისად დაგსახა უგუნურმა ბედისწერამ,
იმედი რად მომეც ნისიად?
ვიძახი:
– ჩემია ეს მზე და აღმაფრენა!
ბორბლები მომძახიან:
– სხვისია!
ჩემთვის გაჩენილხარ რამხელა სიყვარული,
(ეს გული ათასის ღირსია)!
მოვილტვი, სივრცეებს მოვაპობ მხარულით.
ტალღები მაგებებენ: – სხვისია!
ეს შენი მზერაა, ფოსფორული ციმციმით
ბილიკს რომ მინათებს ნისლიანს.
ვისწრაფვი, მომესმის საცანის სიცილი:
– სხვისია, ხა-ხა-ხა! სხვისია!!!
ჩემია, ჩემია ეს მზე და სიხარული,
ვარსკვლავნიც, სხივებს რომ ისვრიან.
ჩემი სიყვარული, ყველგან მოარული
– სხვისია, სხვისია, სხვისია!!!

## აფრინდა ქორი

ყველას თავისი ფიქრი აქვს,
ყველა თავისთავს ჰგავს.
აფრინდა ქორი, აფრინდა,
ნეტავ, დაეძებს რას?
ჰაჲ, რა გინდა ამ დილით
ჩამომიქროლე რად,
იქნებ, გემოკლა მანძილი,
გამომიარე გზად.
იქნებ, იმიტომ დაჰქრი, რომ
ვერავის ანდობ გულს,
იქნებ, ნინილა გგონივარ,
ჩემი ნარტყვევა გსურს.
ჰაჲ, აიღე სიმაღლე,
არ გადმოსცილდე გორს,
რად გინდა – შიშით ვგმინავდე,
გადამარჩინე ჭორს.
მე არც დაგინგრევ ბუდეს და
არც შემოგხვდები გზად,
აფრინდი, ქორო, აფრინდი,
გული შემიკრთე რად.

## პროზა

ამ მინიატურების ავტორს დიდი უბედურება შეემთხვა – შვილი დაეღუპა. მოუნელებელ დარდს თამარი მხატვრული სიტყვითაც ებრძვის და არაპროფესიონალის დონეზე მშვენივრად ართმევს თავს. თამარი სოფელში ცხოვრობს, დიდ ოჯახს უვლის და როცა სოფელი იძინებს, მაშინ იწყება მისი მეორე ცხოვრება – ჭიდილი ფიქრთან და ქაღალდთან.

თამარ ბურნაძე-წიწიკაშვილი

## ციკლიდან – „ვედრება“

### მთვარეო!

მთვარეო გრძნეულო, რა მოკრძალებით უჭვრეტ ღამღამობით გაცრეცილ სარეცელს ჩემსას, მართლა გამჭვირვალე ხომ არ გგონია სამარხად ქცეული სული ჩემი? იქნებ არც უწყი, დამანთული გული რა ხანია ცრემლების უძირო ზღვაში რომ დავასამარე და ჩემივე სხეულის უსიცოცხლო ცხედარს ჭირისუფლად ვესისხლწვეთები?

### გულო!

ხან კულისებს მიღმა გემალები, ხან ფიქრის ძაფებზე ვლამობ თავის ჩამოხრჩობას, ხან ფრიალო კლდიდან აზვირთებულ ტალღებში მწადია გადაშვება, ხან კი ღრუბლებში გადასახლება მესურვილება.

ფრიალებ და ფრიალებ... ფრიალებ და ფრიალებ... თუ ღმერთი გწამს, ან ადამიანური ყოფიერების სივრცეში ჩაკალაპოტდი და დამამშვიდე, ან გასკდი ბარემ და დამასვენე თხემით ტერფამდე!

### არაგვო და ქარიშხალო!

აზვირთებულო არაგვო და აბობოქრებულო ქარიშხალო, მიწიერ ძალა თქვენი! იქნებ როგორმე ჩააქრო გულისგულიდან სულის მწვერვალამდე აალებული ხანძარი, თორემ სადაცაა დავნაცარტუტდები.

### ბულბულო!

ვგმინავ კუნძულზე მარტოობისა. ხმა მენატრება მანუგეშებელი. რა დაშავდება, ბულბულო, ერთხელ შენ მაინც მესტუმრე, ყელი მოიღერე ჩემი წამებული სულის წყვეტილ სიმზე და მიგალობე მთელი საღამო. მერე რაა, თუ სული გვაქვს შეუსაბამო. მიგალობე, იქნებ, წამიერად განმარიდო ტანჯვის მორევში ჩაკირულ ტყვეობის გალიას, მაგრამ ვაი, რომ უძლური აღმოჩნდები. ვზეძლიერობ გოდებით ჩემით. ვშიშობ, მწუხარებით დაგაავადო და ჩემეულ, ცრემლის ენაზე აგამეტყველო. მერე სამოთხის ბაღს რა ეშველება? ისედაც ბედკრულს წყევლა-კრულვით ამიკლებენ ყარყარა ვარდები.

ვერ გაგიმეტებ ჩემდა ბედად. ნუ, ნუღარ შეწუხდები, ბუნების მგოსანო! შენ შენი მისია შეასრულე კვლავინდებურად, სიცოცხლის ჰიმნი იღაღადე, გაზაფხულის სურნელოვან სუნთქვაში დააფრქვიე საგალობელი შენი. ამ წუთისოფელს კი მეც ვეყოფი სევდის ჰანგზე მოთქმით მქადაგებელ-მთქმელ-მომღერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთ წლიწადში ისეთი წამალი გაჩნდება, ადამიანებს ეშველებათ

## ასე ფიქრობს მეტაბოლური წარმოშობის ნერვულ დაავადებებზე ამერიკაში მომუშავე ჩვენი თანამემამულე თეა კეკელიძე

**შორეულ წარსულში უცხოელები ქართველ ქალს სილამაზით იცნობდნენ. დღეს მსოფლიომ ქართველი ქალის უფრო დიდი ღირსება – ნიჭიერება აღიარა.**

**ერთ-ერთი მათგანი ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მკვლევარი თეა კეკელიძეა. ქალბატონი თეა მერვე წელია შტატებში მეცნიერულ კვლევას ეწევა. მისი კვლევის საგანი ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმში ტვინის ბიოენერგეტიკა და ცენტრალური ნერვული სისტემის მეტაბოლური პროცესებია. ეს დაინტერესება გამოიწვია უჯრედული ენერგეტიკის როლმა ისეთ ნერვულ დაავადებებში, როგორიცაა პარკისონი, ალცჰეიმერი, ჰანტინგტონი, ეპილეფსია და ინსულტი. ენერგეტიკის რეგულირებას ახლად აღმოჩენილი პრეპარატების მეშვეობით უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები აქვს.**

მონატრებულ სამშობლოსთან შეხვედრა შედგა. ქალბატონი თეა დასვენების ნაცვლად, სამუშაო პროგრამით ჩამოვიდა თბილისში. ალმწრდელ სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ინიციატივითა და თანადირექტორობით, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისა და ექიმების მონაწილეობით ოთხდღიანი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. ჩამოსულებმა და ქართველმა კოლეგებმა ერთად განიხილეს და შეაჯამეს დღეისათვის არსებული ცოდნა ფუნდამენტურ და კლინიკურ ნერვულ მეცნიერებაში, დასახეს სამომავლო გეგმები საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

შეხვედრა უნიკალური იყო იმითაც, რომ მან გააერთიანა ნერვულ სნეულებათა უჯრედულ მექანიზმზე მომუშავე მეცნიერები და კლინიკური ნევროლოგები.

საქართველოსათვის ამ პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ უახლოეს შედეგებს, ბავშვთა და მოზრდილთა ნერვულ სნეულებათა დიაგნოსტიკა-მკურნალობაში, ნეიროქიმიაში, ნეირობიოლოგიაში და თავადაც წარმოედგინათ თავიანთი შრომები, მონაწილეობა მიეღოთ ღია სამეცნიერო დისკუსიებში.

კონფერენციის მეორე თანადირექტორი იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი დევიდ ჰოლცმანი.

შეხვედრის თანასპონსორობა ნეიროქიმიის საერთაშორისო საზოგადოებამ და სოროსის ფონდმა იკისრეს.

... ქალბატონი თეა ცნობილ მეცნიერთა ოჯახში დაიბადა და აღიზარდა: ბაბუა, პროკლე კეკელიძე, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; მამა – ნოდარ კეკელიძე, პროფესორი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი; დედა – ლია კეკელიძე ინგლისური ენის სპეციალისტი; და – მაკა კეკელიძე რადიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. თეამ მათზე შორს გაიწია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულმა კურსდამთავრებულმა, მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტმა გამოიყენა შესაძლებლობა და როცა ქართველ სტუდენტთა და ასპირანტთა პირველი გასვლა დაიგეგმა, შტატებში მოხვდა. თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, თავად რესპონდენტისაგან შევიტყვეთ:

**– რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე სტუდენტთა და ასპირანტთა პირველმა გასვლამ ამერიკაში?**

– გრანდიოზული. მაშინდელი კარჩაკეტილი საბჭოთა ქვეყნიდან მოვხვდი თავისუფალ და მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, სადაც კანონის უზენაესობაა, განსაკუთრებით მოვიხიბლე იქაური განათლების სისტემით, სწავლების დონით, სტუდენტთა და პროფესორთა მეგობრული დამოკიდებულებით. ვილიამს კოლეჯში (მასაჩუსეტის შტატი) ოცდღიანი ვიზიტის მიზანი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, ერთმანეთის ცხოვრებით დაინტერესება და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება იყო. ამ პროგრამამ გარდატეხა მოახდინა ჩემს სამომავლო გეგმებში.

შინ დაბრუნდი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, კვლავ მოვხვედრილიყავი სასურველ სამუშაო გარემოში, სადაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ბევრის მიღწევა შეიძლება.

1988 წელს, უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავზე, ემორის უნივერსიტეტიდან (ატლანტა, ჯორჯიის შტატი) გულისხმიერი მეცნიერი ტომ ბერსტანი გვესტუმრა, რომელიც დღესაც ქართული და ამერიკული უნივერსიტეტების დამაკავშირებელია. სტუმარს ჩემი ლაბორატორია დავათვალიერებინე, გულის კუნთზე ჩატარებული მუშაობა გავაცანი. გავიდა 5 წელი. ჩემს კეთილისმყოფელს თურმე არ დავვიწყებივარ. საშუალება მომცა ემორის სკოლაში ჩავსულიყავი [illegible] [illegible]

– რა სიახლეა დღეს თქვენს მეცნიერულ მუშაობაში?



*მარცხნიდან:* **ნოდარ, ლია, თეა კეკელიძეები, პროფესორი ჰოლცმანი და მაკა კეკელიძე**

– ამჟამად ადამიანის ტვინს ვიკვლევ ჰარვარდის უნივერსიტეტში. სადოქტორო შრომა დაწერილი მაქვს, გრანტიც მოვიპოვე. შემიძლია ნებისმიერ ლაბორატორიაში ვიმუშავო, მე მაინც ჰარვარდში, ჰოლცმანის ლაბორატორიაში მუშაობა ვარჩიე. სწორედ იქაა აბსოლუტურად უნიკალური აპარატურა, რეზონანსული სპექტროსკოპია, რომელიც მაგნიტურ-რეზონანსულ იმუნირებას ახდენს. ამ აპარატში ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანის ან ცხოველის მოთავსება და მისის ტვინის ბიოქიმიის შესწავლა შეიძლება. შევქმენი პატარა სამუშაო ჯგუფი. ფიზიოლოგიურ კვლევას რადიოლოგიური მეთოდებით კვლევაც დაემატა. ჰოლცმანი ჩემნაირ კვლევას მხოლოდ ავადმყოფებში ატარებს. იდეა და მიზანი დიდია. გვინდა ჩვენი მიღწევებით მთელი რიგი დაავადებები დავამარცხოთ. ბოლო წლებში მათ რიცხვს მეტაბოლური კრუნჩხვება და შიზოფრენია დაემატა.

ჩვენი ლაბორატორია იმ საქმიანობაშია ჩართული, რომელსაც მსოფლიო მეცნიერთა დიდი არმია ეწევა. მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბიოქიმიური რეაქციის მოდელირებას კომპიუტერის საშუალებით ახდენენ.

ბოლო 3 წლის განმავლობაში მეცნიერებაში იმდენი ახალი მასალა დაგროვდა, რომ დღემდე უცნობი ნერვული დაავადებები დადგინდა. ამ დაავადებების მიზეზი ტვინში კრეატინის დეფიციტია, რასაც ტვინის უჯრედები საკმაო რაოდენობით ვერ გამოიმუშავებენ. ეს კი ბავშვებში გონებრივ ჩამორჩენილობას, შეფერხებულ მეტყველებას, კრუნჩხვებს იწვევს...

მეცნიერებს თავსატეხი გაუჩნდათ – შეიძლება თუ არა ნაყოფში ამ დაავადების წინასწარი დადგენა და ჩარევა? ფიქრობენ, შეიძლება. კურდღლის ტვინზე დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ მასში კრეატინის შეყვანა საპროტემებს ხსნის. ხუთდღიანი კურდღლის ტვინი მეტაბოლური განვითარებით ახალშობილისას უახლოვდება. ვარაუდობენ, რომ იგივე შედეგს ბავშვებშიც მივიღებთ. ძალიან აქტუალური თემაა. სწორედ ამაზე იყო საუბარი თბილისის კონფერენციაზე.

**– გამოდის, რომ მალე ბევრ მეტაბოლური წარმოშობის ნერვული დაავადების განკურნებას შეძლებთ.**

– დაახლოებით ერთ წლიწადში ისეთი წამალი გაჩნდება, რომ ადამიანებს ეშველებათ.

**– ასეთი დაძაბული შრომის შემდეგ თუ გრჩებათ დასვენების, გართობის დრო?**

– [illegible]

ლია [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ჰყრიდა მთავრობა ფულს უნიჭო შემოქმედებაში



მინდა ერთი შესანიშნავი ქალბატონი გავიხსენო, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის კონსულტანტად მუშაობდა. ეს გახლდათ ჩემი თაობისათვისაც საყვარელი პოეტი – მარიჯანი. შინაგანი სილამაზე საოცარ სითბოდ მჟღავნდებოდა მისი გამოხედვიდან. იყო ტკბილმოუბარი, დედასავით სათნო და მისანდობელი.

მაშინ საქართველოში ახალი დაარსებული იყო ერთადერთი პრემია და ისიც საბავშვო ლიტერატურაში, რადგან მწერლობა არც თუ ისე რიგად იტკივებდა თავს პატარებისათვის. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, [illegible] მათთვის წერა სათაკილოდ მიაჩნდათ.

მთავრობამ განათლების სამინისტროსთან დააარსა სოლიდურ თანხიანი პრემია, რათა როგორმე მოეზიდნა ქართული მწერლობა საყმაწვილო ლიტერატურაში. და, დაიძრა საპრემიოდ პროზისა თუ პოეზიის ნიაღვარი!.. კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები ჯერ ჟურნალ „პიონერში" იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად გამოდიოდა.

ვკითხულობდი პრემირებულ მასალებს, უმთავრესად პროზას და გაოცებული ვიყავი: როგორ ყრიდა მთავრობა ამდენ ფულს იმ საკმაოდ უნიჭო შემოქმედებაში!..

ზაფხულობით, თუ სადმე მთებში არ დავეხეტებოდი, კახეთში ვატარებდი დროს. საღამოობით ავდიოდი იყალთოს აკადემიაში და მის ნანგრევებზე ჩამომჯდარი ვფიქრობდი „ყაბახის" სიუჟეტსა თუ მის გმირებზე. ერთხელაც საფუძვლიანად დამაფიქრა იმ ამბავმა, რომ ჩვენს ბავშვებს ქართველი მწერლის სათავგადასავლო რიგიანი წიგნი არ გააჩნდათ. მათზე დაწერილი თითქმის ყველა წიგნის სიუჟეტი და მისი გმირები ერთ ძაფზე ასხმულ საჩურჩხელე ნიგვზებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველა თითქოს ერთ ჩარჩოზე გამოჭრილი, ერთფეროვანი ულიმღამო გმირებით იყო დასახლებული... გადავწყვიტე, დამემსხვრია ეს ჩარჩო, ყოველი პერსონაჟისათვის საკუთარი სახე მიმეცა, ერთურთისაგან განსხვავებული სული ჩამედგა, ეს იქნებოდა ჩემი და ჩემი მეგობრების თავგადასავალი... რაკი გადავწყვიტე, მგელივით ვეცი სამუშაოს! დრო ცოტა მქონდა, მაგრამ დღე და ღამე გავასწორე და თვის ბოლოს მაინც წარვადგინე საკონკურსოდ „იყალთოელი ბიჭები". დევიზად დავაწერე: „ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს, ნადირსა შავის ტყისასა!" ამ მკვეხარა, ფრიად პრეტენზიული დევიზის უკან იმალებოდა თავის თავში დაჯერებული, კონკურსის ჟიურის პატიოსნებასა და მათს განსწავლულობაში ეჭვშეუტანელი, ცხოვრებაში სიღრმისეულად გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდა კაცი...

იდგა 1952 წელი. კონკურსის დაარსებიდან ოთხი-ხუთი წელი თუ იქნებოდა გასული და ჯერ პირველი პრემია არავის მიეღო. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ეს პრემია პირველად მე უნდა მიმეღო.

როგორც კი კონკურსი დამთავრდა, საბავშვო მწერალთა კონსულტაციას მივაკითხე. შემომხედა თუ არა ქალბატონმა მარიჯანმა, უმალ მივხვდი, რაც მოხდა ჟიურის სხდომაზე.

– ვერ წარმოიდგენ, ლადო, როგორ გამოგჭრეს ყელი, – მითხრა ჩემმა დიდმა იმედმა.

– რატომ? არ წაიკითხეს?

– უბედურებაც ეგ არის, რომ წაიკითხეს.

– მერე?!

– მერე ყველამ ცუდი რეცენზია დაწერა.

– არ მოეწონათ?

– მოეწონათ კი არა, მავნე წიგნადაც კი გამოაცხადეს: „ამის დაბეჭდვა როგორ შეიძლება? ეს რომ დაიბეჭდოს, ჯერ ისედაც დაგიჟებული ბავშვები გვყავს, ამის შემდეგ ხომ სულ გადაირევიანო!..

მივხვდი, იმ წელს აღარაფერი ეშველებოდა. ვიფიქრე, იქნებ მეორე წელს ნიჭიერ კაცს შეხვედროდა სარეცენზიოდ. წიგნს სათაური გამოვუცვალე, – „ბუჩუკურთელის რგოლი" დავარქვი და დევიზიც შესაფერისი, – წინასწარმეტყველური წავაწერე: „წამკითხველო, შენდობა მითხარით". იმ წელს ერთი პოემაც დავწერე, რომელიც გორში ხევსურების ჩამოსახლებას ასახავდა და „ზარი სამგორში" დავარქვი. დევიზად წავაწერე: „ღმერთი უშველის ამდენ პოეტებს, სნეულებს ეჭვით და უნიჭობით!" პოემა ვაჟა-ფშაველას მიხედვით, შაირით იყო გაწყობილი. დადგა დრო და პროზაცა და პოეზიაც წარვადგინე კონკურსზე.

„იყალთოელი ბიჭები" კვლავ შარშანდელ რეცენდენტს შეხვედროდა და მართლაც ისევ ეთქვა „შენდობა", ხოლო „ზარი სამგორში" ერთ საოცრად კეთილშობილ კაცს – ბატონ გრიგოლ ბარამიძეს, რომელიც მაშინ განათლების სამინისტროში მუშაობდა. ჩამოვყარე ყურები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა მარიჯანმა მითხრა: „ვინც შენი პოემა წაიკითხა, ყველა გადარეულია, – ჰგონიათ, ან გიორგი ლეონიძის დაწერილია, ან ილო მოსაშვილისა. მხოლოდ მე და გრიშამ (გრიგოლ ბარამიძეს გულისხმობდა) ვიცით მისი ნამდვილი ავტორის ვინაობა".

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და, როცა ხელახლა გამოვჩნდი მწერალთა კავშირში, მარიჯანმა მომახარა: „თავად განათლების მინისტრმა, ჟიურის თავმჯდომარემ, ამხანაგმა გიორგი ჯიბლაძემ წაიკითხა და თქვა: „ამ პოემის დაწერა ლეონიძესაც შეეძლო და მოსაშვილსაც, მაგრამ თუ ეს ახალგაზრდა კაცის დაწერილია, მე მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ, ალაგ-ალაგ ვაჟას სიმაღლეზე ადის ლექსიო". ჩემთვის ეს ნათქვამი დიდად სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რა „სიმაღლეზეც" ადიოდა ჩემი ლექსი. ამიტომ შევევედრე: „ეგენი უკლებლივ ყველა სცდება. პოემა კი არა, პროზა „იყალთოელი ბიჭებია" საპრემიო-მეთქი". „ასეთ რამეზე შეუძლებელია სიტყვის თქმა, ლადო, მაშინ ხომ გამჟღავნდება, რომ ჟიურის წევრებმა წინასწარ იცოდნენ, ვისი რა იყო საკონკურსოდ მოტანილი?" – მითხრა მარიჯანმა.

წამოვედი დამმარცხული.

იმ წელს მართლაც მისცეს პრემია ჩემს პოემას.

ისევ მივედი ქალბატონ მარიჯანთან.

– კაცო, ეს პრემია ხომ მაინც ჩემს ნაწერს ერგო. მოდი, რომელსაც ნამდვილად ეკუთვნის, იმას მივცეთ, ორივე ხომ ჩემია-მეთქი.

ეს მთლად შეუძლებელი გამოდგა...

ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც ქართულ საყმაწვილო ლიტერატურას ისეთი დიდი და ღედობრივი გულშემატკივარი ჰყავდა, როგორიც ყოველთვის კეთილად მოსაგონარი ქალბატონი მარიჯანი იყო...

ლადო მრელაშვილი

# ქართველი შატილოვები



ტატიანა შატილოვა და სიმონ ფხაკაძე

**ტატიანა შატილოვა: დაიბადა 1913 წელს. დაამთავრა თბილისის 107-ე გერმანული საშუალო სკოლა, სამედიცინო ინსტიტუტი. მონაწილეობდა სამამულო ომში, ორდინატურა გაიარა ოფთალმოლოგიაში, მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის კათედრაზე. შვიდი წელი იმუშავა რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტში თვალის სნეულებათა კათედრის გამგედ, ოცდახუთი წელი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი გახლდათ. ამჟამად ამავე კათედრის კონსულტანტია, არის მედიკო-ბიოლოგიური აკადემიისა და ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრი, 160-მდე ნაშრომის ავტორი.**

მიუხედავად ხანდაზმულობისა, თავს შესანიშნავად გრძნობს, აზროვნება და მეტყველება ბევრ ახალგაზრდას შეშურდება. ცნობილ გინეკოლოგს სიმონ ფხაკაძესა და ქალბატონ ტატიანას ნამდვილად ბედნიერი წყვილი ეთქმით, რადგან ასე საინტერესოდ და სანიმუშოდ გასწიეს ცხოვრების ჭაპანი...

... კარგა ხნის წინათ შატილის დაუმორჩილებელი მოსახლეობა მეფის მთავრობას კურსკის გუბერნიაში გადაუსახლებია, რუსული სიტყვა არავის სცოდნია, შატილოვებად ჩაუწერიათ. ტატიანას მამა ცნობილი ოფთალმოლოგი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე იყო. მისი შვიდი და-ძმიდან ყველა განსწავლული ყოფილა. ტატიანა ბათუმში დაიბადა, ოჯახი თბილისში 1918 წელს გადმოსახლდა დიდ ბინაში ვარციხის ქუჩაზე. ნებით და ზოგიც ძალმომრეობით რამდენიმე ოთახი გაუსხვისებიათ. სახლი მე-19 საუკუნეშია აგებული. მთელი ბინა უცნობი მხატვრის მიერ ვენეციის ხედებითაა მოხატული. სახლში მუშაობდა სამხატვრო დასი, იმართებოდა თეატრალური დადგმები. ბინაში თურქეთის ელჩისაც უცხოვრია და ალმოსავლური ვიტრაჟებიანი ბუხარი დაუტოვებია.

... ქალბატონი ტატიანას წინამორბედნი ქართული ოფთალმოლოგიური სკოლის ფუძემდებლები იყვნენ: ვახტანგ მუსხელიშვილი, ალექსანდრე შატილოვი (მამა), ივანე სიხარულიძე. მათ საქმეს აგრძელებენ მოსწავლეები: დავით შენგელია, მერაბ დვალი, ეთერ მშვილდაძე, ირინა ონიანი, მედეა პაპავა და ოფთალმოლოგ მედიკოსთა დიდი არმია.

... ალექსანდრეს დიდი პრაქტიკა ჰქონდა, იყო შესანიშნავი დასტაქარი და შეუდარებელი დიაგნოსტი. გიორგი ტარხნიშის მოსწავლედ თვლიდა თავს. აკეთებდა კატარაქტისა და გლაუკომის ოპერაციებს, რაც მაშინ იშვიათობა იყო.

... თვალის დაავადებათაგან უფრო ხშირად კატარაქტა და გლაუკომა გვხვდება. კატარაქტის ოპერაციული მკურნალობა 150 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ამოღებული ბროლის ფუნქციას სპეციალური მძიმე, დიდი სათვალე ასრულებდა. დღეისათვის კატარაქტის ოპერაციების ტექნიკა დახვეწილია, ოპერაცია მიკროსკოპის ქვეშ კეთდება, ამოღებული მღვრიე ბროლის ნაცვლად ხელოვნურ ბროლს სვამენ. გლაუკომა კი უფრო მძიმე და სერიოზული დაავადებაა, მისი ძირითადი ნიშანი – თვალში წნევის მომატება და მხედველობის ნერვის ატროფია ესაა სიბრმავის უშუალო მიზეზი. უფრო მეტად გლაუკომის მაპროვოცირებელი მიზეზი ნერვიულობაა. ოფთალმოლოგიაში კიდევ აღინიშნება თვალში სისხლის მიმოქცევის მოშლა. საერთოდ ასაკში შესულმა ადამიანმა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროს ოფთალმოლოგიური გამოკვლევა – გვირჩევს ქ-ნი ტატიანა და გვთავაზობს თვალის ვარჯიშს, რომელიც ეხმარება მოხუცებულობის შორსმხედველობის, ანუ პრესბიოპიის თავიდან აცილებას. პრესბიოპიის ერთ-ერთი მიზეზი თვალშიდა კუნთების უმოქმედობაა, ამიტომ ორმოც წელს გადაცილებულებისათვის საჭიროა თვალის მარტივი ვარჯიშები. მაგალითად, ასე: უნდა დადგე ფანჯარასთან, უყურო ფანჯრის მინას, მერე მზერა გადაიტანო ფანჯრის გარეთ, ძალიან შორს, შემდეგ ისევ ახლოს – ფანჯრის მინაზე. ეს რამდენჯერმე უნდა გაიმეორო... იოგებსაც აქვთ ძალიან კარგი თვალის ვარჯიშები. ვარჯიში თვალში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

საერთოდ, თვალის პროფილაქტიკური გამოკვლევა, დროული დიაგნოსტიკა, მკურნალობის კარგ შედეგებს განაპირობებს, დარწმუნებულია ქ-ნი ტატიანა.

... ქალბატონ ტატიანასა და ბატონ სიმონს – სამამულო ომის მონაწილეებს აქვთ სოლიდური პენსია – ასი ლარი, რაც არ ჰყოფნით და უხდებათ საოჯახო ნივთების, სურათების გაყიდვა. სასურველი იყო ასეთ ღვაწლმოსილ, ღირსეულ სპეციალისტებს უფრო უზრუნველი სიბერე ჰქონოდათ.

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჯილდა სულ სხვა იყო..."

*„ჩუმად მითხარი ჩუმად,*
*რომ კვლავ დამეძებ,*
*ჩუმად მიმღერე და მითხარი,*
*რომ გიყვარვარ მე...*
*და თუ კვლავ გჯერა ჩემი, თქვი,*
*რაც გინდა, ოღონდ*
*ჩუმად მითხარი, რომ გიყვარვარ..."*



შთაგონებით მღერის სიფრიფანა ქალიშვილი და მეტყველი თაფლისფერი თვალები იმ უსასრულობისკენ მიუპყრია, რომლის ნაწილიც სულ ცოტა ხანში თავად გახდება.

ჩემი თაობა მას არ იცნობს, ეკრანზე თუ მოუკრავს თვალი, არადა უფროსების გადმოცემით, შესანიშნავი მომღერალი ყოფილა განსაკუთრებული ხმითა და შესრულების თავისებური მანერით. სულ 25 წელი დაჰყო ამ ცოდვილ დედამიწაზე და იმდენი სითბო დატოვა, ისეთი სავსე ცხოვრებით იცხოვრა, ალბათ ბევრი ვერ დაიტრაბახებს. წელს იგი 55 წლისა გახდებოდა. ალბათ ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ხანში შესული ჯილდა, რადგან განგებამ ინება მუდამ ახალგაზრდა და ლამაზი დარჩენილიყო ახლობელთა გულში. და მაინც, როგორი იყო 60-იანი წლების ახალგაზრდობის საყვარელი მომღერალი და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი ჯილდა დათუაშვილი? მისი პორტრეტის აღდგენას ჯილდას უახლოესი ადამიანების – ქ-ნ მარინა დათუაშვილისა და კომპოზიტორ ნოდარ გიგაურის მოგონებებით შევეცდებით:

მარინა დათუაშვილი: ჯილდა ადამიანობის, კეთილშობილებისა და სიკეთის განსახიერება იყო. 30 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და დღესაც დიდი ტკივილია მისი გახსენება. ნათესავები და უახლოესი მეგობრები ვიყავით. ერთად ვსწავლობდით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მისმა ხანმოკლე ცხოვრებამაც ჩემს თვალწინ ჩაიარა. მეგობრების სული და გული იყო ჯილდა. არაჩვეულებრივად განათლებული პიროვნება და უღალატო ადამიანი. არაფერში ითხოვდა შეღავათებს. იმდენად კარგად სწავლობდა, რომ მისი სადიპლომო ნამუშევარი (ქიმიკოსი გახლდათ) საკანდიდატო დისერტაციას შეადარეს და ინსტიტუტის წითელი დიპლომით დამთავრების შემდეგ კათედრაზე დატოვეს. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზ-ორკესტრში მღეროდა, გასტროლებით ჰქონდა მოვლილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი. იმდენად კარგი მომღერალი იყო, რომ გრენობლის ოლიმპიადაზე ინსტიტუტის ტრიოსთან (ჯემალ სუხიშვილი, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე) ერთად საქართველოს წარმოადგენდა. აღფრთოვანებული იყო ამ მოგზაურობით, ბავშვივით აღტაცებული ჰყვებოდა, როგორ დაესწრო შარლ აზნავურისა და ელა ფიტცჯერალდის კონცერტებს.

განსხვავებული ხმის ტემბრი ჰქონდა და ეს იმდროინდელი უხარისხო ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს. რომ დასცლოდა, ალბათ საქართველოს ედიტ პიაფი იქნებოდა. ძალიან უყვარდა ეს დიდებული მომღერალი და ცდილობდა, გარკვეული კუთხით დამსგავსებოდა. დიდ სულიერ სიახლოვეს პოულობდა მასთან და გარეგნობითაც წააგავდა – მასავით სიფრიფანა იყო. არაჩვეულებრივად მეტყველი თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ქერათმიანი და პაეროვანი თითქოს მიწას არ აკარებდა ფეხს, გასაფრენად გამზადებულს ჰგავდა და აკი გაფრინდა კიდეც ლურჯი უსასრულობისკენ.

თავმდაბალი და მოკრძალებული, მეგობართა ვიწრო წრეში ხშირად ასრულებდა თამარ წერეთლის, ქეთო ჯაფარიძისა და ნანი ბრეგვაძის რომანსებს, სცენაზე გამოსვლისას კი თავს იკავებდა, ამათ ისეთი შემსრულებლები ჰყავს, თავს ვერასოდეს მივცემ ზედმეტის უფლებასო.

უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, თვითონაც შეყვარებული იყო და რომ დასცლოდა, უბედნიერესი ქალი და დედა იქნებოდა. სამწუხაროდ...

როცა საკუთარი ავადმყოფობის შესახებ შეიტყო – სულით არ დაცემულა. ძალიან გაუჭირდა და დადუმდა, ხმას აღარ იღებდა, თუმცა მისი ნაღვლიანი მეტყველი თვალები ისედაც ამჟღავნებდა სატკივარს. ბოლოს დაბრმავდა, ვეღარაფერს ხედავდა. დედა მეცოდებაო, – სულ ამას ამბობდა.

ძალიან მენატრება და თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ზეციურ საუფლოში ბედნიერი იქნება. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

ნოდარ გიგაური: ჯილდა ნამდვილი საოცრება იყო, ისეთი უშუალო, მგრძნობიარე. სიყვარული ედგა თვალებში და თავადაც სიყვარულად იღვრებოდა. როგორც მომღერალი ხომ განუმეორებელი გახლდათ. გული მწყდება, რომ მისნაირები დღეს იშვიათად იბადებიან. სიმღერა „ჩუმად მითხარი" ჯილდასთვის დავწერე. მისი გარდაცვალების შემდეგ დიდხანს არავის უმღერია. ბოლოს შეასრულეს, მაგრამ... ჯილდა სულ სხვა იყო. ეს სიმღერაც მის სიმღერად დარჩა.

***

1971 წლის 2 მაისს გაფრინდა ჯილდა დათუაშვილის სული ზეციური საქართველოსკენ.

*„თოვლი მოსულა ამ დილით, რაღაც ახალი იწყება,*

*არა ყოფილა ადვილი წარსულის გადავიწყება"...*

ეს მშვენიერი სიმღერა ჯილდას გარდაცვალების შემდეგ დაიწერა და, გადმოცემით, მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა. იგი ალბათ ყველაზე კარგად გამოხატავს 60-იანი წლების თაობის ტკივილს ქერათმიანი ფერიას გაუჩინარების გამო.

გვანცა ყიფიანი

# მილოცვა

## ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძეს დაბადების დღესთან დაკავშირებით

ქალბატონო ზინაიდა!

დიდი პატივისცემით მინდა მოგესალმოთ, მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი და მადლიერების სიტყვები გითხრათ ღვაწლმოსილ ადამიანს იმ ყველაფრისათვის, რაც გაგიკეთებიათ თქვენი ხანგრძლივი, უანგარო და პირუთვნელი მოღვაწეობის მანძილზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ყოველივე საუკეთესოს თქვენ და თქვენს ოჯახს.

**პატივისცემით.**

ედუარდ შევარდნაძე



ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია უერთდება ბატონი პრეზიდენტის მილოცვას და იუბილეს ულოცავს ქალბატონ ზინაიდას – საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეს, ჩინებულ საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ჟურნალის მოამაგეს და მოჭირნახულეს, დამსახურებულ ქალბატონს, შესანიშნავი შვილების დედას, ბებიას და დიდ ბებიას.

გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს თქვენი ქვეყნისა და თქვენი ოჯახის, ყველა ჩვენგანის საკეთილდღეოდ.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის"**
**რედაქციის ჟურნალისტები**



საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი თავის სამყაროში



ყოველი ხელოვანი თავის ოცნების სამყაროს ქმნის. დღეს ბედნიერებაა ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ბევრი სიკეთეა თავმოყრილი, სადაც ფიანდაზად სილამაზეა გაშლილი და სუფევს „წარმტაცი ბუნდოვანება ჰარმონიისა", სადაც ოდნავ შეფერილ ვარდისფერ ატმოსფეროს მსჭვალავს უნატიფესი ბგერები მალერის „ადაჟიოსი".

ეს ახდენილი ოცნების სამყარო ქუთაისის მკვიდრის, 25-ე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის, ქალთა საბჭოს საზღვარგარეთის ქალთა ორგანიზაციებთან ურთიერთობის სექციის ხელმძღვანელის, საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის წევრის, დიდი სახლის შეუდარებელი დიასახლისის, თვითნასწავლი მხატვრის მანანა ქავთარაძე-მგელაძის საკუთრებაა.

ამ საკუთრების მხილველს გასაკვირია არ გაუჩნდეს შეკითხვა, თუ საიდან მოდის მშვენიერება და როგორია მისი მიმართება ხელოვნებასთან. „ამ კითხვაზე პასუხი ისევე ამოუწურავი და იდუმალია, როგორც თავად მშვენიერება, რადგან სიყვარულის ფარდია იგი, ხელოვანი კი საკუთარ სულს დებს ქმნილებაში.

ეს ამაღლებული განწყობა თვით მანანას პიროვნებამ და მისმა შემოქმედებამ შემიქმნა და არ მომცა საშუალება მიწაზე დამედგა ფეხი, რაც კარგად შესმის ჩვენი პრაგმატული დროისათვის შეუფერებელია და მაინც...

ნამუშევრებს შორის თვალს იტაცებს პეიზაჟი, გადამწვარ არეს მიწამულის ფერი ეფინება, დგას გადაგრაგნილი მუხა, რომლის ფესვები ლამის ამოყრილან მიწიდან.

„მუხა ალეგორიული გამოსახულებაა ადამიანის სულისა, ფესვები კი სულიერ შობას და ცრემლის კათარზისს მაგონებს ყოველთვის. გრ. რობაქიძეს საოცარი დრამატიზმით აქვს აღწერილი სამშობლოში მობრუნებული არჩიბალდ მეკეშის მუხის ფესვებში გასვლის სცენა. მეკეში ამ დროს ორგზის შობილია. ეს სცენა ჩემს თვალწინ მოწამეთას ტაძარში ყოველ წელს ცოცხლდება, რომლის შემდეგ ენით გამოუთქმელ სულის შვებასა და აღმაფრენას ვგრძნობ", — გვესაუბრება მხატვარი.

შემოქმედება ხელს უწყობს მანანას იყოს მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი, ორიგინალური იდეებით აღვსილი პედაგოგიურ საქმიანობაში, მისი ყოველი გაკვეთილი მუსიკალური და ხატოვანია. „ჩემი დიდი ბედნიერება ოჯახია, მყავს მეუღლე, ორი ვაჟი, უფროსი იურისტია, სწავლას გერმანიაში აგრძელებს. უმცროსი სამედიცინო კოლეჯის I კურსის სტუდენტია", — ამბობს ქალბატონი მანანა.

შთაბეჭდილებების წიგნი სათუთად ინახავს იმ მშვენიერ სურვილებსა და აზრებს, რომლებიც მხატვრის შემოქმედების ხილვის შემდეგ გასჩენიათ საქართველოს დიდ ქალბატონებს: აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილს, მხატვარ ნელი ოქროპირიძეს, პროფესორ ციალა ქოჩერიშვილს.

ქალბატონ მანანას ნამუშევრები წარმოდგენილი იყო საქალაქო და რესპუბლიკურ გამოფენებზე და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. შემდეგ კი პერსონალური გამოფენაც შედგა, რითაც მხატვარმა მოწვეულ სტუმრებს შესანიშნავი სალონური საღამო აჩუქა.

ი. ჯგერენაია

## გავათხოვე, გავატანე ჩემი „ვეფხისტყაოსანი"...

ნანა კაიშაური პროფესიით არქიტექტორია. წლების მანძილზე დუმეთში საპროექტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დღეს იქვე, სკოლაში ხატვასა და რელიგიას ასწავლის.

ხელოვნების სიყვარული ბავშვობიდან მოსდევს. გაკვეთილებზე მუხლებზე რვეული ედო და თავდავიწყებით ხატავდა. მერე ქარგვას, ჰერბარიუმის კეთებას, ჩალით წნვას მიჰყო ხელი. მშვენიერი კალათები, საპურეები და აბაჟურები გამოსდიოდა. ბევრს მუშაობდა კერამიკაში — საკუთარი საამქროც კი ჰქონდა.

თვლებით მოჭედილი ზარდახშების კეთება შემთხვევით დაიწყო — წვრილშვილიან დედას (ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი — ნათია გრძელიძე ჰყავს, რომელიც მოდელიერია და მაკა ასათიანთან მუშაობს) აკადმყოფი ბავშვის სასთუმალთან ჩამინების ქმნიდა და ხელსაქმით ერთობოდა. ერთხელ გადაწყვიტა: მოდი, ჩემი სამკაულებისათვის ზარდახშას გავაკეთებ და ... მასალისათვის შორს წასვლა არ დასჭირვებია — პატარაობიდანვე აგროვებდა მძივებს, მაქმანებსა და ხავერდს.

დღეს ნანა კაიშაური ქართველ მანდილოსანთა ტრადიციული ხელსაქმის ღირსეული გამგრძელებელია — არაჩვეულებრივ ზარდახშებს აკეთებს და ორიგინალურ, თვლებით მოჭედილ ხავერდის ყდაში სვამს წიგნებს. უპირატესობას ძირითადად ბიბლიას, სახარებას და „ვეფხისტყაოსანს" ანიჭებს.

ეს ორიგინალური საქმიანობა მოგვიანებით მოიფიქრა — მაზლიშვილი უთხოვდებოდა და მზითვად ხავერდის ყდიანი თვლებით მოჭედილი „ვეფხისტყაოსანი" გაატანა. მერე საკუთარი ნახელავი თავადაც მოეწონა და ... იმ დღიდან მისთვის ძვირფას ადამიანებს ამგვარად ასაჩუქრებს. თითოეულ ქმნილებას განწყობის მიხედვით ერთი კვირიდან ერთ თვემდე უნდება. შემოქმედებითი პროცესი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს და თუ კარგ ხასიათზეა, ერთი ამოსუნთქვით ამთავრებს. ყოველგვარი ესკიზის, წინასწარი მონახაზის გარეშე მუშაობს (არასოდეს იცის რა გამოვა) და მასალად ძირითადად ხავერდს, აბრეშუმის, ოქროსფერ და ვერცხლისფერ ძაფებსა და ნახევრადძვირფას ქვებს — ფირუზს, მარგალიტს, სარდიონს, ნეფრიტს იყენებს. თითოეული ჩუქურთმა თუ მონახაზი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა ერთხელ, „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისას მაინც „დაესესხა" ოპიზრებს.

ნანა კაიშაურს საკუთარი ნამუშევრების ფართო სამსჯავროზე გამოტანა თანდაყოლილი მოკრძალებისა და თავმდაბლობის გამო, არასოდეს უცდია და რომ არა მისი ბავშვობის მეგობრის — ლეილა ასათიანის მონდომება, რომელმაც ამ ორიოდე თვის წინ საქართველოს ქალთა საბჭოსა და ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდური ცენტრის თაოსნობით ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილ გამოფენაში ძალით მიაღებინა მონაწილეობა, ეს მშვენიერი ნაკეთობანი საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩებოდა. არადა, მათი მიჩქმალვა დანაშაულის ტოლფასია.

მანანა იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაჭირვების ტალკვესი

**ხომ წარმოგიდგენიათ, როგორია რედაქციას ერთი საწყალი ტელეფონი რომ ექნება და ისიც ხშირად ითიშება, ზიანდება, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენცა გვყავს ჟურნალის ქომაგი და გაჭირვების ტალკვესი. ამ ქომაგს საქართველოს ქალთა საბჭოს წევრს იზოლდა ჩხიკვაძეს არ დავაკონკრეტებთ რამდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი მრგვალი თარიღი შეუსრულდა. ჩვენი ტელეფონების გადამკიდე ხშირად გვიხდება ქალბატონ იზოს შეწუხება, ამიტომ ჩვენს სასიმოვნო მოვალეობად მიგვაჩნია დაუზარელ ქალბატონს მოკრძალებულად მივულოცოთ იუბილე.**



იზოლდა ჩხიკვაძე კავშირგაბმულობის ინჟინერია. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აგერ უკვე 26 წელია ამ სისტემაში მუშაობს და ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი საკუთარი არჩევანის სისწორეში. წლების მანძილზე საქართველოში პირველ ცენტრალურ დაზიანების ბიუროს ხელმძღვანელობდა და ახალბედა ინჟინრები მისი ხელმძღვანელობით იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, მერე სატელეფონო კავშირის სამსახურში მოქალაქეთა საჩივრებს კურირებდა, ხოლო მას შემდეგ რაც „ელექტროკავშირი" კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოეყო და სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა, როგორც გამოცდილი ინჟინერი, სატელეფონო საჩივრების განყოფილების მთავარ სპეციალისტად დანიშნეს და მოქალაქეთა საჩივრებს ახლა ქვეყნის მასშტაბით განიხილავს.

არავისთვის იქნება უცხო თუ ვიტყვით, რომ კავშირგაბმულობის სისტემაში „ელექტროკავშირი" ერთ-ერთი გამართული და სრულყოფილი ორგანიზაციაა, რომელიც მეტნაკლებად აკმაყოფილებს აბონენტთა მოთხოვნილებებს და უხარვეზო ადგილობრივი სატელეფონო კავშირების გარანტიას იძლევა, უახლოეს მომავალში კი საერთაშორისო სადგურის დამონტაჟებას და საქალაქთაშორისო კავშირების უზრუნველყოფასაც გვპირდება. დღეისათვის „ელექტროკავშირი" 336 ათას აბონენტს ემსახურება და არც შემოსავლების ნაკლებობას უჩივის. ქ-ნი იზო სიამაყით გვესაუბრება მისთვის ძვირფას კოლექტივზე და განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხელმძღვანელობას (გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე, აღმასრულებელი დირექტორი ილია კუბეცია) მოიხსენიებს. ეს არცაა გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ, რომ „ელექტროკავშირის" თანამშრომლები დიდი გაჭირვების პერიოდში და დღესაც რეგულარულად იღებენ ნორმალურ ხელფასს და ყოველთვის კარგი სამუშაო პირობები ჰქონდათ.

პირადი ცხოვრების მოწყობა იზოლდას შეაგვიანდა, მაგრამ ბოლოს ბედი შესანიშნავ ვაჟკაცს, ყოფილ ფეხბურთელს ედუარდ ქობულაძეს დაუკავშირა. სამწუხაროდ, შვილი არ ჰყავს. ფეხმძიმობა სამოქალაქო ომის წლებს დაემთხვა და ნერვიულობის ნიადაგზე ნაყოფიცა და დედობის იმედიც ერთ დღეს დაკარგა, მაგრამ მეუღლის რჩევით საკუთარი ძმისშვილი იშვილა. ამისათვის სამუდამოდ ემადლიერება მას. როცა რაიმე გაუხარდება ან ეწყინება, განმარტოვდება და ლექსით იქარვებს გრძნობას. პოეტობის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი თითოეული წრფელი სიტყვა მაინც ეძვირფასება:

„...აკაციის ყვავილობას იმერეთში
გაზაფხულის სურნელება დაჰყოლია,
მწვანე ბალახს დაუფარავს ფერდობები
იები და ენძელები რამდენია?!
იმერეთმა, აკაციის ყვავილობამ
გამახსენა ჩემი სოფლის ბილიკები,
ბავშვობაში დედიკოსთვის დაკრეფილი
უამრავი აკაციის ყვავილები".

მანანა იმესაშვილი



1770 წელს ინგლისის პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ქალი, რომელიც რაიმე ხერხით მოატყუებდა მამაკაცს (სახეზე ფერუმარილის წასმა, ხელოვნური კბილები, პარიკი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, რკინის კორსეტი და სხვა) და თავს შეართვევინებდა, როგორც კუდიანი დაისჯებოდა, ხოლო ქორწინებას ბათილად სცნობდნენ.

***

ახალი გვინეის კუნძულებზე ენგას ტომში ყველაზე მეტად ღორები ფასობდნენ. საქმროს საპატარძლოსათვის აუცილებლად უნდა ეჩუქა ღორები (სამი, ოთხი, ხუთი...), ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი, ხოლო სასიძოს ქორწინების ნებართვას იმ შემთხვევაში იძლეოდა თუ პატარძლის გამოსასყიდი (ღორები) მთლიანად იყო გადახდილი. დაკლული ღორის ხორცი ნათესავებში ნაწილდებოდა.

თუ ქმარი ცოლს ღალატს შეამჩნევდა, ქალს სამი თვით პატიმრობას უსჯიდნენ, საცდუნებელს კი აიძულებდნენ მოტყუებული ქმრისათვის ერთი ან ორი გოჭი მიეყვანა.

***

XVII საუკუნეში ჰოლანდიაში (ქ. ამსტერდამი) ცხოვრობდა ახალგაზრდა ოქრომჭედელი ნიკოლა ვან ბენტოტენი (ბენშოტენი), რომლის ნახელავი ოქროს ნივთებიც მთელ ქალაქში იყო ცნობილი. ნიკოლა შეყვარებული ყოფილა თავის მეზობელ ანიტაზე, რომლის ძუნწი და მკაცრი მამა ვან რანემი იშვიათად რთავდა ნებას ქალიშვილს ესეირნა ქალაქში. ამიტომაც ახალგაზრდები თითქმის ვერ ხედავდნენ ერთმანეთს.

ანიტა მთელი დღეების მანძილზე ქარგავდა, რის გამოც უმოწყალოდ ჰქონია დაჩხვლეტილი თითები.

ერთ დღეს ქალიშვილმა შეყვარებულისაგან ფარულად მიიღო ამანათი, რომელშიც პატარა ზომის ქუდის მოყვანილობის ნივთი და ბარათი იდო. ნიკოლა წერდა სატრფოს: „გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გამოგონება, რომელიც თქვენს ლამაზ თითებს ნემსის ჩხვლეტისაგან დაიცავს". გამოგონება ოქროს სათითე იყო.

საერთოდ ძნელი სათქმელია, რა დროიდან დაიწყო სათითეს მანდილოსანთა თითების დაცვა, წერილობით წყაროებში იგი XII-XIII საუკუნეებიდან არის მოხსენიებული. ყოველ შემთხვევაში, 1534 წლისათვის ნიურბერგში უკვე არსებობდა მესათითურე ოსტატთა გუნდი.

უფრო მოგვიანებით მოდაში ოქროსა და ვერცხლის სათითეები შემოვიდა, რომლებიც შემკული იყო ძვირფასი ქვებით, საგვარეულო ღერბებითა და მისტიკური ნიშნებით.

მალე ფუფუნების ამ საგანმა ყველა ოჯახში დაიდო ბინა და პირველი მოთხოვნილების ნივთად იქცა.

მოამზადა ზურამ გასიტაშვილმა

# იმპერიის ჯარისკაცები

ცნობილი რუსი პოეტისა და პუბლიცისტის ფელიქს ჩუევის წიგნში „იმპერიის ჯარისკაცები", რომელიც გამოვიდა ეგიდით „დოსიე", შესულია ბევრი უცნობი, ან მანამდე საგულდაგულოდ მიჩქმალული ფაქტი საბჭოთა კავშირის ზევრ გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეზე, მსოფლიო სახელის მქონე ადამიანებზე. ეს წიგნი კიდევ იმიტომ დავწერე, – წერს ავტორი, რომ თუ ადრე რუსები თუმცა არ უყვარდათ, მაგრამ პატივს მაინც სცემდნენ და მათი ეშინოდათ, ახლა ან ეცოდებათ, ან ეზიზღებათ. და შეიძლება მეც ასეთი გრძნობა გამჩენოდა ჩემი ხალხისადმი, რომ არა ეს ადამიანები. რომ არ მჯეროდეს, უკეთესი, რაც ჩვენში იყო, არ მომსპარა და როგორც ტალანტის მწვანე ყლორტი, გახეთქავს შურის, გამცემლობის უგუნურების ბეტონს."

ფელიქს ჩუევი

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს წიგნიდან

## ღმერთო, გვიშველე!

სტალინი მებრძოლი ულმერთო არ ყოფილა. შეიძლება ამაში სასულიერო სემინარიამაც ითამაშა როლი?

ხშირად საუბრის დასასრულს იტყოდა: „აბა, ღმერთი გფარავდეთ", „ღმერთმა ნუ ქნას", „ღმერთო, გვიშველე".

როცა გაიგო, რომ ბევრი მღვდელი პარტიზანად წავიდა და ზოგი მათგანი რაზმის შტაბის მეთაურიც გახდა, მას გულწრფელად აღმოხდა: ჩვენ კი მაცხოვრის ტაძარი ავაფეთქეთ!

ომის დროიდან მოყოლებული განსაკუთრებით თბილად ექცეოდა ეკლესიას.

აკადემიკოსმა ა. ბოგომოლეცმა სიცოცხლის გახანგრძლივების თეორია წამოაყენა. სტალინმა ამ საკითხზე მუშაობისათვის მთელი ინსტიტუტი მისცა. მაგრამ თვითონ აკადემიკოსი 1946 წელს გარდაიცვალა 65 წლის ასაკში.

– ყველანი გაგვაცურა, – თქვა სტალინმა, როცა მისი სიკვდილი გაიგო.

ერთხელ სტალინს მოახსენეს, რომ მისი ვაჟიშვილი ვასილი შორეულ აგარაკზე, რომელიღაც მსახიობის ცოლთან ერთად სვამდა.

მან ვასილის მოყვანა ბრძანა. როცა ვასილი მის კაბინეტში შევიდა, სტალინმა ქამარი მოიხსნა და შვილს სახეზე უცხუნა.

– ნაძირალავ, იმაზე არ ფიქრობ რას იტყვიან მამაშენზე? თქვა, შენ კი ლოთობ.

ჟდანოვი ვასილის დაცვას შეეცადა.

ერთი მოქნეული მათრახი მასაც მოხვდა.

კალინინის ფრონტზე მოქმედ არმიაში თავისი ერთ-ერთი გასვლის დროს, სტალინმა მთვრალი გენერალი ნახა.

– ნახა რაღა სხის დრო! თქვა მთავარსარდალმა, მაგრამ იქვე დასძინა:

– ივან მიხეილის ძეს ნუ აწყენინებთ.

## პამიდვრები

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებისას სტალინმა ყურადღება მიაქცია, რომ გამოფენილი პამიდვრები დამჭკნარიყო. მანქანაში რომ ჯდებოდა, მასპინძლებს უთხრა:

– პამიდვრების შეცვლა არ დაგავიწყდეთ, მაგრამ მხოლოდ პამიდვრების!

სხვა არაფერი უთქვამს.

## ბალტიის ზღვის წყლიანი ბოთლი

შეტევითი ოპერაციის შემდეგ საბჭოთა ჯარები ბალტიის ზღვამდე მივიდნენ. გენერალმა ბაგრამიანმა სტალინის გასახარებლად ბოთლით ბალტიის ზღვის წყალი გაუგზავნა მას, მაგრამ სანამ ბოთლმა კრემლამდე მიაღწია, გერმანელებმა პლაცდარმის დაბრუნება და საბჭოთა ჯარების ბალტიიდან უკუქცევა მოახერხეს. სტალინმა ეს იცოდა და როცა ბოთლი გადასცეს, თქვა:

– დაუბრუნეთ ამხანაგ ბაგრამიანს და გადაეცით ის წყალი ბალტიის ზღვაში ჩაასხას.

## რიწის ტბაზე

დიდი თეტრის ყოფილმა კომენდანტმა, ფაქტიურად სტალინის ერთ-ერთმა მცველმა ა. რიბინმა მიამბო, როგორ გაემგზავრნენ სტალინთან ერთად რიწის ტბაზე. დარწმუნებული იყვნენ, რომ ბელადის მისაღებად იქ ყველაფერი მზად დახვდებოდათ, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ჩვენში, ასე არ აღმოჩნდა. დასაწოლი ადგილიც არ იყო მზად. ამიტომ პირდაპირ სანაპიროზე საძილე ტომრებში ლაგიძინეთ. ღამით სტალინს გაეღვიძა.

– უჰ, როგორ ხვრინავთ, – უთხრა მცველებს, აიღო თავისი საძილე ტომარა და მოშორებით წავიდა დასაძინებლად.

– წარმოუდგენლად უბრალო ვინმე იყო ეს სტალინი, წარმოუდგენლად, – სიტყვა-სიტყვით დამახსომდა რიბინის ფრაზა.

ზოგჯერ ლამპასიანი შარვლის ტოტებაკვალთული სტალინი წყალში ფეხშიშველი შედიოდა.

რიბინს ვკითხე: ფეხზე მართლა ექვსი თითი-ჰქონდა თუ არამეთქი, როგორც ამას პერესტროიკის წლებში წერდა ერთი „დემოკრატიული" გაზეთი.

..რას ამბობ, ასე რომ ყოფილიყო, უეჭველად შევამჩნევდი, – გაოცდა რიბინი.

მოგზაურობაში სტალინს ხშირად ახლდა მცველი ტუკოვი. ის მძღოლის გვერდით იჯდა და გზაში ხშირად ჩათვლემდა ხოლმე.

პოლიტბიუროს ერთმა წევრმა სტალინს უთხრა:

– ამხანაგო სტალინ, თქვენს შორის ვინ ვის იცავს, ვერ გაიგე

– ეს კიდევ რაა, – უპასუხა იოსებ ბესარიონის ძემ, – ამასწ

ნათ პისტოლეტიც კი ჩამიხარა ლაბადის ჯიბეში. – ყოველი შ

მთხვევისთვის გქონდეთო.

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ სტალინი ათვალიერებდა ქალაქს, უფრო სწორად მის ნანგრევებს. უეცრად ორი ქუჩის შესაყარზე მის მანქანას სატვირთო ავტომობილი დაეჯახა. საჭესთან ქალი იჯდა. სტალინი რომ დაინახა, ტირილი დაიწყო.

– ნუ ტირით, – დააწყნარა იგი სტალინმა, – ჩემს მანქანას არაფერი დაშავებია, იგი ჯავშნიანია, თქვენსას კი – შევაკეთებთ, – და მაშინვე იქ მოცვენილი მილიციელები გააფრთხილა:

– ქალს არაფერი დაუშავოთ, იგი დამნაშავე არ არის, დამნაშავე მე ვარ, – თქვა.

თარგმნა ნარგიზა მგელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე ჯავახეთს რა მიშავდაო...“



მე ჯავახეთს რა მიშავდაო,
მთვარე მადგა მზესავითო,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითო...
ეეე-ჰო, ეეე-ჰო...

ამ ლექსს ჯავახეთში თავისებურად წარმოთქვამენ მოხუცები – დადარდიანებულად, ოდნავი წამღერებით, თან ეე-ჰო-ს წარმოთქმისას მუხლზე ხელს დაირტყამენ – აქაოდა, ახლა ვარო ცუდ დღეში, თორემ მაშინ... მაშინ კი ასე მოიაზრებოდა ჯავახეთი – აი, რას უბნობს ვახუშტი ბატონიშვილი: „ესე არს ჯავახეთი... მიწა ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მზგავსი, განა უმჯობესიცა, ზამთარ დიდ-თოვლნი და ყინვანი. ცხოვარნი მროწლენი და ჯოგნი მრავალნი, თევზნი მრავალნი, ფრინველნი, რომელნიც, მათთა გვარობენ, მრავალნი, თაფლნი მრავალნი, კაცნი და ქალნი, მზგავსი ქართლისა გლეხთა ტანოიანნი, შვენიერ-ჰაეროვანნი...

მიწა ესე უმეტეს ნაყოფიერიო, ჰავითაც მზგავსიო'' – სწორედაც რომ ჯავახეთის უმთავრესი ღირსება მისი შავმიწა ნიადაგებია, კიდევ: ცივი წყაროები, ხოლო ტბების სიუხვით ბადალი არ მოეძებნება საქართველოში – თავფარავანი, სალამოს ტბა, წუნდის, ტაბისყური, ხშირად ტაბაწყურს რომ ეძახიან და კიდევ მრავალი.

ამბობენ, ტაბაწყური სილამაზით რიწის ტბას არ ჩამოუვარდებაო; მართლაც ულამაზესია ზაფხულობით: სილურჯე – თვალუწვდენელი, შიგ მოკამკამე მწვანე მთებითა და ღრუბლებით. ხშირად ამოდიოდა აქ დასასვენებლად რუსთა უფლისწული გიორგი „ცარევიჩი'', აბასთუმნის დამაარსებელი, აქაც სდომებია დიდი საკურორტო-სარეწაო ზონის შექმნა... სარეწაო, იმიტომ, რომ ტაბაწყური განთქმული იყო თევზის სიუხვით, განსაკუთრებით უგემრიელესი კალმახით... არ დასცალდა და საერთოდაც, საქართველოს სამხრეთის ამ ბედკრულ მხარეს თამარის მერე ბევრი რამ არ დასცალდა...

გამოთქმა „მის თავზე კევრი არ დატრიალებულა, თორემ სხვა დანარჩენი ყველაფერიო'', ჯავახეთში სწორედ რომ „კევრიც დატრიალდა'' – ნაქალაქარ დიდსა და პატარა მურჯებში დღესაც გვხვდება ადამიანთა მიმოფანტული ძვლები – გადმოცემით, ლეკიანობისას, აქ მრავალი ქალ-ბავშვი კალოსავით გაულეწიათ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

აქ ერთი გოჯა მიწაც კი არ არის, თავის ტკივილისას რომ არ ღაღადებდეს: ჯავახეთს სისხლის წვიმები წვიმდაო, – წერდა ალექსანდრე ფრონელი. ნასოფლარები – უამრავი, უძველესი სასაფლაოები ქვისგან გამოკვეთილი ვერძებით, ცხენებით, აკვნებით... საყდრები, ეკლესიები, სამლოცველოები – ყვითლადხავსმოდებული დიდი ლოდებით გარშემორტყმულნი, ჭვარტლისაგან გაგლუვებული ნიშნებით, სადაც მლოცველნი სანთელს ანთებდნენ... მარტო ჩემს პატარა სოფელში – კოთელიაში რამდენია ასეთი. ახლა ტოპონიმები: წითელი ქვებიო, ნაცარგორაო, ბრმა წყაროო, დაკიდულაო რამდენ სათქმელს იტევენ.

ნაცარგორაზე მოდარაჯენი ცეცხლს ანთებდნენ მტრის შემოსევისას – გარშემო სოფლებს აფრთხილებდნენ, რომ მოხუცები, ქალები და ბავშვები გაეხიზნათ, კაცები საომრად შეკრებილიყვნენ. ჩვენებური სოფლები ახლაც მიწიქვეშა გვირაბებით – დარანებით არის დაქსელილი, სწორედ ამით სარგებლობდნენ, საშიშ ადგილებს რომ გარიდებოდნენ. კოთელიასაც ამის გამო დაერქვა ეს სახელი – აქ ადგილას რამდენიმე სოფლიდან გამოქცეულნი ერთბაშად შეყრილან, აჰტყდარა ერთი ვიში და ქოთიალი... მტერს ადვილად მიუგნია მათთვის და ნახევარზე მეტი გაუჟუჟია. ქოთიალმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა და კოთელიად გადაკეთდა...

მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-19 საუკუნემდე სამხრეთ საქართველო, სამცხე-საათაბაგოდ წოდებული, თურქთა ბატონობის გამო დიდ საქართველოს მოსწყდა და ამან ისეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა მის დამხობა-გაპარტახებაში, რომ აგერ, 21-ე საუკუნეშიც, ცხადლივ იგრძნობა ის ორსაუკუნოვანი დაღი.

ახლა აქ თითზე ჩამოსათვლელი ქართული სოფლები რომაა შემორჩენილი და სამწუხაროდ ბევრი ქართველი ჯავახს სომეხთან აიგივებს, ეს იმ ლამის ამოუშლელი დაღის ერთი ნაწიბურია.

მარტო ახალქალაქის რაიონში მოსახლეობის მხოლოდ ოთხი პროცენტია ქართველი, ისიც ჩამოსახლებულ აჭარელთაგან გაბევრებული...

***

ამას წინათ ერთი ჟურნალისტი წერდა „კვირის პალიტრაში'' – ახალქალაქი დიდთოვლობისას თვეობით წყდება გარემოს, ხალხს ძალიან უჭირს და მიწისქვეშა სახლებში ცხოვრობსო და ა.შ. ზამთრის პერიოდში იყო ფოკაში (ნინოწმინდის რაიონი) და ეტყობა ასეთი შთაბეჭდილება დარჩა გვარიანად შემცივნულს. ჰო, ხშირად გაუცხოებულად იწერება ჯავახეთზე, აი, ისე – გაჭირვებული რომ გინდა ვინმეს შეაცოდო და მთლად აუბედურებ ისედაც საბრალოს...

ახალქალაქთან მისასვლელი გზები მართალია, კარგ გზობას ვერ დაიკვეხნის, მაგრამ თვით ყველაზე დიდ ყიამეთსა და თოვლშიც კი ერთი დღითაც არ მომწყდარა გარემოს. რაც შეეხება მიწისქვეშ გამოთხრილ სახლებს... ჰო, მიწურები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, მაგრამ მიწისქვემოთ არ არის გამოთხრილი, ჩვეულებრივი ბანიანი სახლებია, სადაც „ჭერის სარკმელებად'' ერდოები აქვს დატანებული.

1500-1800 მეტრ სიმაღლეზეა ზღვის დონიდან ჯავახეთის ზეგანი. ამ ადგილებს „საქართველოს ციმბირს''ეძახიან. ზამთრობით ძალიან დიდი ყინვები იცის, ხოლო ხანმოკლე ზაფხულმა კი – აუტანელი ხვატი და პაპანაქება. თუმცა ღამ-ღამობით კი გვარიანად აცივდება ხოლმე.

ჰოდა, ამ ჩვენს მამა-პაპას, მეტად ჭკვიანსა და გამრჯეს, სწორედაც რომ ამ კლიმატისა და ჰავის შესაფერისად მოუწყვია საცხოვრებელი: ღრმა საძირკვლიანი, ქვის სქელკედლიანი, მაგრად დატკეპნილი მიწის სქელი ფენით დახურული. ასეთი სახლი ზამთრობით თბილი და მყუდროა, ზაფხულობით – გრილი. მართალია, გარედან ლაზათიან შეხედულებას ვერ ტოვებს, მაგრამ შიგნით, განსაკუთრებით ოდა – ოთახები, კოხტად და კოპწიად გამოიყურება.

განა მესხური დარბაზისა არა გაგიგიათ რა? თავისი განთქმული დედაბოძით. ასეთი დარბაზები თითო-ოროლა არის შემორჩენილი. სამაგიეროდ, გვიანდელი დარბაზები ბევრია „გვირგვინიანი მერცხლის ბუდეებით'', ჭერი თანდათან რომ მაღლდება და თავისებურ კამარას ქმნის, რომელიც პატარა ერდოთი მთავრდება, საიდანაც ჩამოშვებული სინათლის სვეტი შეძლებისდაგვარად ანათებს. აი, ოთახი-ოდა კი უფრო მორთულ-მოკაზმულია კოხტად გამოყვანილი განჯინებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარნიშმოვლებული თაროებით, საქვეებითა და მუსანდარებით.

საქვე ძველი ქართული სიტყვაა და გრძელ ტახტს ნიშნავს (განა ქართული „საქვე" სპარსულ „ტახტს" არა სჯობს?), ხოლო მუსანდარა – საქვის მეორე სართულს, საფეხურისებურად რომ გრძელდება. საქვეებს შორის მოქცეულია კერია – ბუხარი, ზედ ამოტვიფრული ჯვრებითა და ბორჯღალოებით, უტყუარი მანიშნებელი წარმართული და ქართული ქრისტიანული სიმბოლოების ერთიანობისა. აქ თურმე ლაზი ოსტატები ჩამოყავდათ ბუხრების მოსაპირკეთებლად. ჭერი კი მაღალია, კამაროვანი და გრძლადწასული, უფრო დიდი ერდოთი, ვიდრე დიდი დარბაზებისა, ოღონდ ჭერის შუაგულში კი არა, არამედ მაღლა-აღმოსავლეთ კედელთან დატანებული.

ასეთი ოდა-ოთახები ჯავახ შეძლებულთ რამდენიმე ჰქონდათ.

საერთოდ კი მიწურები, მართლაც ულაზათონი გარედან, გრძელ მატარებლებს წააგავდნენ, ერთმანეთთან ზიგზაგურად გადასულს. შესასვლელი, რომელიც ღია აივნით – კარაპნით იჩრდილებოდა, აუცილებლად აღმოსავლეთს უყურებდა. შესვლისას კი უსაშველოდ გრძელდებოდა დერეფნებ-სადგომები, ოდა-ოთახები, „საცივო სახლი", საბძელი, ბოსელი და ა. შ.

ნიკო ბერძენიშვილი წერდა, ჯავახელის სახლში რომ შეხვალ, უკან შენით გზას ველარ გამოიგნებო. უამრავი თვალისაგან შემდგარი სახლი მართლაც ლაბირინთის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ახლა მისი ნაშთებიღაა აქა-იქ შემორჩენილი. სამაგიეროდ, ვითომ ახლებური წესით აშენებული სახლები (ისინიც ვერ დაიკვეხნიან სიკოხტავით) ვერც სიგრილეს ინარჩუნებს და ვერც სითბოს – ძველი ვერ შეინარჩუნეს, ახალი ვერ მოძებნეს...

წინათ ჯავახელის სიმდიდრე საქონელისა და ცხვრის სიმრავლით განისაზღვრებოდა, პურეულის დიდი მოსავლით (ყველაზე ღარიბსაც კი ოთახისხელა ამბარი ჰქონდა ხორბლის შესანახად), ყველ-ერბოს სიუხვით, მატყლისა და ბუმბულის „დოშა-კლეიბის" სიბევრით. ამ კუთხეს არ შიებია. არც ახლა შია – ყველას თავისი სამყოფი საჭმელი მაინც მოეძევება. აქ უფრო სხვანაირად შიათ – ყურადღება, სიყვარული, თანაალმობა სწყურიათ, განა ისეთი, ხელოვნური სიბრალული რომ აღუძრა ვინმეს, აქაოდა, როგორ უჭირთ აქაურებს, რომ მიწიქვეშა სახლებში ცხოვრობენო...

„მე ჯავახეთს რა მიშავდაო"...

მაშინ ჯავახეთი დიდი საქართველოს ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო. ახლა – ერთი მივარდნილი კუთხეა, უყურადღებობით მიყუჩებული, და მთავარი ნიშანი ამ უყურადღებობისა ის გასაცოდავებული სკოლის შენობებია, უკვე დაფახფახებულნი, მოსწავლეთა სიმრავლით რომ ვერ დაიკვეხნის, სამაგიეროდ...

როცა კაცს გიხარია, მთვარეც მზედ გეჩვენება, ისე კი, მართლაც მზესავით მთვარეა ის ჯავახეთის ღამის ხავერდმა და ისეთი მკაფიოდ მბრწყინავი ვარსკვლავები, ღამის არის, ხელით მისწვდე და ჩამოწყვიტო.

მანანა ზარიძე



# მოდა

## სილამაზის ხუროთმოძღვარი

მას ხშირად უწოდებენ მოდის არქიტექტორს და ამაში არაფერია გაზვიადებული, რადგან მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის სავიზიტო ბარათზე პროფესიად დღემდეა აღნიშნული – არქიტექტორი, მიუხედავად იმისა, რომ სახლებსა და ქუჩებს იგი კარგა ხანია აღარ აპროექტებს.

ახალგაზრდა, იმედისმომცემი არქიტექტორი ჯანფრანკო ფერე, არც კი ფიქრობდა მოდელიერის პროფესიაზე. უბრალოდ, ერთი ჰობი ჰქონდა – საღამოს, ვახშმობის შემდეგ მაგიდასთან იჯდა და სამაჯურებსა და ათასგვარ წვრილმანებს აკეთებდა, რომლებსაც მერე მეგობრებს – მხატვრებს, არქიტექტორებს, მოდელიერებს ჩუქნიდა. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთ-ერთ წვეულებაზე მოდის სამყაროში დიდი გავლენის მქონე რომელიღაც სტუმარმა მისი ორიგინალური ნივთები შეამჩნია და მილანის ფეშენებლური მაღაზიისათვის ტყავის აქსესუარების კოლექცია შეუკვეთა. კოლექცია თვალისდახამხამებაში გაიყიდა და ფერესაც თითქოს აღარ უნდა გასჭირვებოდა არჩევანის გაკეთება, მაგრამ...



ორჭოფული მდგომარეობა – არქიტექტურაში დარჩენილიყო თუ დიზაინსა და მოდელიორებას გაჰყოლოდა, ჯანფრანკო ფერეს 1978 წლამდე გაჰყვა. მაგრამ ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და მეგობართან ერთად „Gianfranco Ferre S. p. A." გახსნა. მალე შეიქმნა ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის პირველი კოლექციები, რომლებსაც პარალელურად შესაბამისი არომატებიც მოაყოლა. უნდა აღინიშნოს, რომ მაესტრო დღემდე თავად ამუშავებს თითოეული ფლაკონის დიზაინს.



80-იანი წლების შუა ხანებში ფერე მაღალი მოდის ტაძარში – Christian Dior-ის მოდების სახლში თავად სახლის მფლობელმა ბერნარ არნომ მიიწვია და ისიც გულმოდგინედ შეუდგა „Haute Couture" კოლექციის შექმნას.

დღემდე ითვლება, რომ ფერეს ნამუშევრები საუკეთესო იყო მათ შორის, რაც Christian Dior-ის ლოგოტიპით მისი დაარსების დღიდან ოდესმე შექმნილა. ყოველ ახალ ტუალეტში, აქსესუარში იგრძნობოდა დიორის სული და სტილი, სილამაზე, სინატიფე თუ დახვეწილობა. „დიორი დაბრუნდა" – ასე შეაფასეს მოდების სახლის დირექტორის ახალი კოლექცია პრემიერის შემდეგ თაყვანისმცემლებმა და უკვე მეორე დღესვე მოდის სამყაროში უმაღლესი ჯილდოთი – „ოქროს სათითეთი" დააჯილდოვეს. დიორის სახლთან ფერემ რვა წელი ითანამშრომლა, 1997 წელს კი მოულოდნელად მიატოვა მონტენ ავენიუზე მდებარე სახელგანთქმული დაწესებულება და კვლავ Ferre-ს დაუბრუნდა.

დღეს იგი 55 წლისაა და მოდის სამყაროში მეტრადაა აღიარებული. არქიტექტორის პროფესიამ ჯანფრანკო ფერეს საშუალება მისცა მთელი მსოფლიოსათვის დაემტკიცებინა, რომ თავისუფლად შეიძლება გემოვნებას [illegible]ტილსა და აქტუალურობას შორის ჰ[illegible]იის დამყარება და, რაც მთავარია, ისეთი მოდის შექმნა, რომელიც თვეებს კი არა, წლებსა და ათწლ[illegible]ლებს [illegible]ძლებ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ატირებბდა მშვენიერ მადიარს?

## უნგრული სტელა და ქართველი მეცნიერი

1963 წლის სექტემბერში მოხდა მოულოდნელი რამ, რასაც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმში არავინ ელოდა.

ყოველგვარი წინასწარი ხანგრძლივი ჩხრეკა-შესწავლის გარეშე, მოსკოვმა საზოგადოებას ნება დართო ოთხკაციანი დელეგაცია გაეგზავნა ჩეხეთსა და უნგრეთში მატერიალური კულტურის ძეგლთა წარმოჩენისა და დაცვის, შესწავლის და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

ალსანიშნავი იყო ისიც, რომ მგზავრობა მოგველოდა მოსკოვის გვერდის ავლით, „უფროსი ძმების" ყოველგვარი შეფობისა და მზრუნველობის გარეშე.



მარჯვნიდან პირველი – ვახტანგ ცინცაძე, დგას ირაკლი ზაქარიაშვილი

ეს „თავისუფლება" მივლინებულებს ზღუდავდა, კატა ლომად გვეჩვენებოდა, რაიმე დაგებული მახე ხომ არ არისო.

ოთხიდან ერთადერთი გრძნობდა თავს ლაღად, ეს იყო ქართული ხელოვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოვლის, ალავერდის, იყალთოს, ქვათახევის, ფიტარეთის და სხვათა მეორედმაშენებელი-რესტავრატორი, მრავალ ომგადახდილი, მოუდრეკელი, პირდაპირი და გულითადი პიროვნება პროფესორი ვახტანგ ცინცაძე.

ჩეხეთის სახელგანთქმული ხუროთმოძღვრების გაცნობის შემდეგ, რიგი უნგრეთის შესანიშნავ ძეგლებზე მიდგა. ჩვენი ჯგუფი ბუდაპეშტიდან უნგრეთის ისტორიულ ქალაქ პეჩში გაემგზავრა.

დამხვდურებმა ქალაქის არქიტექტურის გაცნობის შემდეგ დაგვათვალიერებინეს სახელმწიფო მუზეუმი, რომლის მთავარი განყოფილება წარმოდგენილი იყო ქვით ხუროთმოძღვრების დეტალების ფრაგმენტებით, მოჩუქურთმებული სვეტისთავებით, სვეტნარებით და ცალკეული სტელებით.

მუზეუმის თანამშრომლები დიდი სითბოთი და ცოდნით გვიხსნიდნენ თითოეული ექსპონატის რაობას: საიდან იყო მოტანილი, ხელოვნების რომელ სკოლას ეკუთვნოდა, რომელი საუკუნით თარიღდებოდა.

სტუმარ-მასპინძლებს შორის დამყარდა კეთილი განწყობა, გულლია ურთიერთობა, რომელიც მეგობრობაში გადადიოდა.

სამწუხაროდ, მოულოდნელად სიტუაცია დაიძაბა – მასპინძელი სპეციალისტები შეჩერდნენ რა ერთ-ერთ მართლაც და საინტერესო სტელასთან, აგვიხსნეს, რომ იგი გვიანი შუა საუკუნეების იტალიის ერთ-ერთ პროვინციულ სკოლას განეკუთვნებოდა.

ბატონმა ვახტანგმა არ გაიზიარა მათი განმარტება და ჯიქურ დაიწყო მტკიცება, რომ სტელა ადრეულია, XIII საუკუნის მაინც და თანაც ადგილობრივი უნგრული ხელოვნების ნიმუშიაო. პაექრობა მიმდინარეობდა რუსულ და გერმანულ ენებზე.

სათანადო ლიტერატურის მომარჯვებით, ძეგლთა პასპორტების გაცნობით, ზოგიერთ ცნობილ სპეციალისტებთან მეხვედრის შემდეგ დადასტურდა პროფესორ ვახტანგ ცინცაძის სიმართლე.

იმდენად შთამბეჭდავი იყო ქართველი მეცნიერის არგუმენტები, მისი მსჯელობის სიღრმე და დამაჯერებლობა, რომ მუზეუმის ერთ-ერთმა მესვეურმა გულწრფელად სთხოვა: „ბატონი პროფესორი დიდად დაგვავალებდა, თუ უნგრეთის ხელოვნების გენეზისის შესახებ კოლეგებთან თავისი მტკიცებულების შესახებ ისაუბრებდა".

ბატონმა ვახტანგმა თავაზიანი უარი განაცხადა წინადადებაზე და დათანხმდა ესაუბრა ქართული ხელოვნების ადრეული პერიოდის შესახებ.

პეჩელი მეცნიერებისათვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა მათთვის ნაკლებად ცნობილი ქართული ხელოვნების შესახებ მოეთხრო ასეთი რანგის მეცნიერს.

მოხდა მოულოდნელი რამ: ლექცია უნდა ჩატარებულიყო მუზეუმის ოციოდე თანამშრომელისათვის, საუბარს ერთგვარი შინაურული, კამერული ხასიათი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ქართველი მეცნიერის მაღალმა კვალიფიკაციამ, უნგრული სტელას ისტორიამ სხვა კვლევითი დაწესებულებებიდანაც მოიზიდა მსმენელები, ასევე ქალაქის პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

მეცნიერმა ლექცია ბრწყინვალედ წაიკითხა.

მის ლექციაში ქართული ხელოვნების სათავეებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებაც ეხლართებოდა და ეს უფრო მეტად მუხტავდა მსმენელს.

ბატონმა ვახტანგმა მადლიერ მასპინძლებს დაუტოვა ლექციის დროს გამოყენებული საილუსტრაციო მასალები და საქართველოს რუკა.

პეჩიდან ჩვენი ჯგუფი დებრეცენს გაემართა, სადაც ახალგაზრდა, მშვენიერი ქალიშვილი შემოგვეგება. როდესაც იგი მშობლიური ქალაქის ისტორიაზე გვესაუბრებოდა, ღელავდა, ხოლო როდესაც ქალაქის ხუროთმოძღვრების ძეგლებზე გადავიდა, ქვითინი აუვარდა.

ჩვენ ყველანი შევწუხდით და, ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ატირებდა.

როდესაც გოგონა დაწყნარდა, გვიამბო: წუხელის ჩემმა საქმრომ პეჩიდან დამირეკა და მითხრა: „შე საწყალო, მაგათ რა უნდა აუხსნა, ბატონმა პროფესორმა ვახტანგ ცინცაძემ ჩვენს მეცნიერებს ჯერ უნგრეთის ხელოვნების შესწავლა დააწყებინა, მერე კი დიდი ქართული კულტურა აღმოუჩინაო".

მშვენიერი მადიარის საქმრომ, რა თქმა უნდა, ცოტა გადააჭარბა, მაგრამ ქართული კულტურის ისტორიის სათავეები კი მათთვის მართლა აღმოჩენა იყო.

ჩვენთან იმ დღეს დებრეცენის ხუროთმოძღვრების შესახებ საუბარი ვერ შედგა, დამშვიდებულმა გოგონამ კი საჩუქრად ვახტანგ ცინცაძის წიგნი მიიღო ავტოგრაფით.

ირაკლი ზაქარიაშვილი

# კულინარია კულინარია

## ჭინჭრის სუპი კარტოფილით

**მასალად საჭიროა:** 500 გრამი კარტოფილი, 600 გრამი ხორცი, 3-4 სუფრის კოვზი ზეთი, 300 გრამი ჭინჭარი, 1 კონა მწვანე ხახვი, 2-3 მოხარშული კვერცხი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი ნაჭრებად დაჭერით, დაასხით წყალი და დუღილამდე მიიყვანეთ. პატარა ნაჭრებად დაჭრილი ხორცი ზეთში მოხრაკეთ და კარტოფილს ჩაუმატეთ. 20 წუთის შემდეგ სუპში ჭინჭარი ჩაყარეთ და მზადყოფნამდე ხარშეთ. სუფრასთან მიტანის წინ მოხარშული კვერცხითა და მწვანე ხახვით მორთეთ.

## კარტოფილი ბადრიჯნით

**მასალად საჭიროა:** 500 გრამი კარტოფილი, 1 დიდი ბადრიჯანი, 1 დიდი პამიდორი, 2 კბილი ნიორი, 3 სუფრის კოვზი ზეთი, 250 გრამი საქონლის ხორცის ფარში, 250 გრამი ნაღები ან არაჟანი, 2 კვერცხი, 100 გრამი ყველი, მარილი, პილპილი, კარაქი ყალიბზე მოსასმელად.

**მომზადების წესი:** გათლილი ბადრიჯანი რგოლებად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და 30 წთ-ით დადგით. კარტოფილიც რგოლებად დაჭერით, პამიდორი – კუბიკებად. 1 სუფრის კოვზ ზეთში მოხრაკულ წვრილად დაკეპილ ხახვსა და ნიორს დაუმატეთ ფარში და მოშუშეთ, შეაზავეთ პილპილითა და მარილით. გაწურული ბადრიჯანი მორჩენილ ზეთში შეწვით. ყალიბს ან ღრმა ტაფას მოუსვით კარაქი და შიგ ფენა-ფენა ჩააწყვეთ კარტოფილი, პამიდორი და ბადრიჯანი, ზემოდან მოაყარეთ ფარში. ნაღები ან არაჟანი კვერცხთან ერთად ათქვიფეთ, დაუმატეთ მარილი, პილპილი და ბოსტნეულს მოასხით. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი. შედგით ცხელ ქურაში 45 წთ-ით.

## ბრინჯი ნიგვზით

**მასალად საჭიროა:** 3 ჭიქა მოხარშული ბრინჯი, ½ ჭიქა დანაყილი ნიგოზი, 150 გრამი კარაქი, პილპილი და მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარაქი გაადნეთ, ჩაყარეთ შიგ ნიგოზი და მოშუშეთ. დაუმატეთ მოხარშული ბრინჯი, მარილი, პილპილი და სუფრაზე მიტანამდე ნელ ცეცხლზე გააჩერეთ.

## ორიგინალური კატლეტები

**მასალად საჭიროა:** 500 გრამი ხორცის ფარში, 500 გრამი მოხარშული, გახეხილი ჭარხალი, 2 თავი ხახვი, 2 უმი კვერცხი, წიწაკა, მარილი, მწვანილი.

**მომზადების წესი:** 500 გრამ ხორცის (უკეთესია შერეული) ფარშს დაუმატეთ 500 გრამი მოხარშული, გახეხილი ჭარხალი, წვრილად დაჭრილი 2 თავი ხახვი, 2 ცალი უმი კვერცხი, დაჭრილი მწვანილი, წიწაკა, მარილი და სველი ხელით კარგად დაზილეთ. გააკეთეთ გუნდები, ამოავლეთ ორცხობილაში ან ფქვილში და ზეთში ორივე მხრიდან კარგად შეწვით.

## ბანანის ტორტი

**მასალად საჭიროა:** ცომისათვის: 5 კვერცხი, 180 გრამი შაქრის „პუდრა", 200 გრამი ფქვილი, 50 გრამი გამდნარი კარაქი, 50 გრამი დანაყილი ნუში ან ნიგოზი, ნახევარი ლიმონის წვენი და ცედრა.

კრემისათვის: 200 გრამი შაქრის „პუდრა", 200 გრამი კარაქი, 4 ბანანი.

**მომზადების წესი:** კვერცხის გული და „პუდრა" კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ ნუში ან ნიგოზი, ლიმონის წვენი და ცედრა. ყველაფერი კარგად აურიეთ. ცილა და 30 გრამი „პუდრა" სქელ ქაფად აქციეთ. ფქვილი, გამდნარი კარაქი და ცილა ფრთხილად შეურიეთ კვერცხიან მასას, გადაიტანეთ ცხიმწასმულ პერგამენტიან ყალიბში და ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ.

მზა ბისკვიტი შუაზე გაჭერით, წაუსვით კრემი და შეაერთეთ. ზემოდან ბანანის ნაჭრებით მორთეთ.

კრემი: კარაქი და „პუდრა" კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ 4 ცალი დაჭრილი ბანანი და მიქსერით ერთგვაროვან მასად აქციეთ.

## ფორთოხლის ტორტი

**მასალად საჭიროა:** 3 კვერცხი, 150 გრამი შაქრის ფხვნილი, 2 ფორთოხალი, 100 გრამი ფქვილი, 100 გრამი სახამებელი, 1/5 ჩაის კოვზი სოდა, 4 სუფრის კოვზი წყალი, მწიკვი მარილი.

**მომზადების წესი:** კვერცხის გული 4 კოვზ წყალთან ერთად ქაფივით ათქვიფეთ, დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, გახეხილი ფორთოხლის ცედრა და მარილი. თქვიფეთ კრემის კონსისტენციამდე, თან ნელ-ნელა დაუმატეთ გაცრილი ფქვილი, სახამებელი და სოდა. ბოლოს ჩაუმატეთ 1 ფორთოხლის წვენი და კარგად ათქვეფილი ცილა. მიღებული მასა ფრთხილად გადაიტანეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ყალიბში, ზემოდან ჩაურჭეთ ფორთოხლის ნაჭრები და გამოაცხვეთ 15 წუთის განმავლობაში ზომიერი სიმხურვალის ღუმელში.

## ჰაეროვანი შოკოლადის ტორტი

**მასალად საჭიროა:** ცომისათვის: 6 კვერცხის ცილა, 300 გრამი შაქრის ფხვნილი.

კრემისათვის: 150 გრამი კარაქი, 150 გრამი შაქრის ფხვნილი, 6 კვერცხის გული, 1 ½ სუფრის კოვზი კაკაო, 250 გრამი ნაღები ან არაჟანი.

მოსართავად: 125 გრამი ნაღები ან არაჟანი, 100 გრამი შოკოლადი.

**მომზადების წესი:** ცილა და შაქრის ფხვნილი ქაფივით ათქვიფეთ, აიღეთ სამი ერთნაირი ყალიბი, ჩაუფინეთ ცხიმწასმული ფოლგა. ყალიბებში თანაბრად გაანაწილეთ ცილის მასა და შედგით 100°C გახურებულ ღუმელში 1 სთ-ით.

მზა ფირფიტები კარგად დაკრემეთ და ზემოდან ათქვეფილი ნაღებითა და გახეხილი შოკოლადით მორთეთ. შედგით მაცივარში 6 საათით.

კრემი: კარაქი, შაქრის ფხვნილი. 6 კვერცხის გული და კაკაო კარგად ათქვიფეთ, შედგით ნელ ცეცხლზე და მორევით ადუღებამდე მიიყვანეთ. მიღებული კრემი კარგად გააცივეთ და ათქვეფილი ნაღები ან არაჟანი შეურიეთ.


ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში –
მ. კოსტავას ქ. №14, V სართული



**რედაქციის მისამართი:**
**380096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**

**რედაქტორის ტელეფონი:**
**99-98-71**

მასალები გადაეცა ასაწყობად — **17.09.2001წ.**

ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად **26.09.2001წ.**

წ. ქაღალდის ზომა **60X90 1/8**

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **8.** ტირაჟი **1000**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნებლიე გალათეა

ალბათ, მარტო გალათეა არ უნდა უმადლოდეს ბედს ქალის სილამაზის უბადლო დამფასებელთან შეხვედრისათვის. თანამედროვე პიგმალიონთა დიდი მცდელობის შედეგად, დღესაც ნორჩ ასულთა მთელი არმია მოულოდნელად იწყებს მღერასა და კინოში თამაშს, მაგრამ მათგან ცოტას თუ ახსენდება თავისი კეთილისმყოფელისათვის მადლობის თქმა.

## მონიკა ბელუჩი



ახალგაზრდა და არცთუ პოპულარულ ფოტომოდელს ძალიან გაუკვირდა, როცა ჰოლივუდში თვით დიდმა ფრენსის ფორდ კოპოლამ მიიწვია და „დრაკულაში“ როლი შესთავაზა. როგორ მიაგნო? თურმე კოპოლას საყვარელი ძმისშვილი, სხვა მოზარდების დარად ეროტიკული ჟურნალების დიდი დამფასებელი, კარგა ხანია შეყვარებული ყოფილა მზეთუნახავ ბელუჩიზე და როცა შეიტყო, ბიძაჩემი ახალ ფილმზე იწყებს მუშაობასო, შეეხვეწა, მონიკა აიყვანე როლზეო. კოპოლამაც ბიჭს გული არ ატკინა და...

ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე მონიკა ბელუჩი სუპერვარსკვლავად იქცა.

საკუთარ გრანდიოზულ წარმატებას პატრისია... ჟერარ დეპარდიეს უნდა უმადლოდეს. სწორედ იგი მოიხიბლა უცნობი გოგონას მიერ გამოგზავნილი კასეტით, რომელზეც მოკრძალებული სიმღერები იყო ჩაწერილი და მაშინვე გაიღო ფული მის დასაფინანსებლად.

„პირდაპირ გასაოცარია – ჟერარი მენდო, თუმცა არასოდეს ვენახე. აზრადაც არ მოსვლია, რომ იმედი გაუცრუვდებოდა ან ფულს დაკარგავდა. უსაზღვროდ მადლიერი ვარ მისი“, – ამბობს პატრისია კაასი.

## პატრისია კაასი





## ნასტასია კინსკი

ნასტასიას ცხოვრებაში მრავალი საბედისწერო მამაკაცი ფიგურირებდა, მკვეთრად რომ ცვლიდნენ მის ბედს. ჯერ – სასტიკი და ბიწიერი მამა, სახელგანთქმული მსახიობი კლაუს კინსკი, რომელმაც ბევრი ტანჯვა მიაყენა საბრალო გოგონას, შემდეგ პირველი მეუღლე, ეგვიპტელი მილიარდელი იბრაჰიმ მუსა, დამოუკიდებელ და მდიდარ ქალად რომ აქცია ვარსკვლავი, რეჟისორი რომან პოლანსკი, რომელმაც მშვენიერი დრამატული მონაცემების მსახიობი ამოიცნო მასში და ბოლოს, ლეგენდარული მუსიკოსი და პროდიუსერი კუინსი ჯონსი, ვისი „გარდარეული სიყვარულის“ გამოც კინსკი სახლიდან გაიქცა და ქმარი და ორი შვილი მიატოვა.

ანს პირდაპირ გულს ცეცხლი ედება, როცა ჟურნალისტები მის წარმატებას ორ სახელოვან მამაკაცს – ალენ დელონსა და ლიუკ ბესონს უკავშირებენ. ერთმა იგი სახელგანთქმული მსახიობი გახადა, მეორემ კი ლეგენდარული ბოევიკის „ნიკიტას“ სცენარის შექმნით, სუპერვარსკვლავად აქცია.

„უეჭველია, რომ ამ მამაკაცებმა თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფითი. დელონთან ურთიერთობისას მივხვდი, რა უბოდიშოდ ცინიკური შეიძლება იყოს მამაკაცის დამოკიდებულება ქალისადმი, ხელოვნებით შეპყრობილმა ლიუკმა კი პირდაპირ გამომფიტა. მას მხოლოდ იმიტომ ვემადლიერები, რომ მისგან შესანიშნავი გოგონა – ჟულიეტი მყავს“.

## გვინეტ პელტროუ



თუ მოშურნე ენებს დაეჯერება, პელტროუ მხოლოდ სუპერვარსკვლავ ბრედ პიტთან გაჩაღებული სატრფიალო რომანის გამო გახდა პოპულარული. „პიტს რომ არ მიექცია ყურადღება ამ უსახური, დიდი ამბიციების მქონე გაჩხინკული გოგონასათვის, ყველაზე უბადრუკ როლსაც ვერასოდეს ეღირსებოდა“, – წერდა ამერიკული ტაბლოიდები. მსგავს ბრალდებებს გვინეტი მეტად მტკივნეულად განიცდის, მაგრამ ყოველგვარი კომენტარისაგან თავს იკავებს. იქნებ იმიტომაც, რომ ამ სიტყვებში ჭეშმარიტების მარცვალი ძევს?!



## ან პარიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

